


ପ୍ରକାଶକ  
ବିଦ୍ୟାଲୟା

# କବିତା ମହାନ୍ତିର



# შინაარსი

## უურნალ „ჯეჯილისა“



I	რა მშვენიერებაა! სურათი . . . . .	514
II	ყრმებს ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	515
III	ლომი გალიაში ალ. ფალავასი . . . . .	516
IV	ციალა ნინო გოგნიაშვილისა . . . . .	517
V	ცისფერი პეპელის ბედნიერება (თარგმანი) ეკ გებ-ხისა . . . . .	524
VI	იის კონა (შემდეგი იქნება) ბაგრატ ბეთანელისა . . . . .	534
VII	ცელქები (დასასრული) კოუანდარისა . . . . .	539
VIII	წვრილმანი: ანდაზები, დამაკვირდი, გამოცანები და ახსნა . . . . .	547
IX	გაზაფხულის დილა ლექსი ი. სიხარულიძისა . . . . .	548
X	როგორ გავატარე ზაფხული მიმქრალისა (დასასრული) . . . . .	550
XI	ბაჭის ცრემლები ცეკვიტისა . . . . .	558
XII	კალი—კარლ ევანჟელიზა (დასასრული) დავით დონ-დუასი . . . . .	566

მიიღება ხელის მოწერა

# ჯ ე ჯ ი ლ გ ე

1917 წლისა

ოცდა მერვე ცელიშაბი



ବାହୁଦାର ବିଜୟ ପତ୍ର

ପ୍ରମୋଦ ପାତ୍ର

ପିଲାର୍ଦ୍ଦୀ, ମହାରାଜ୍ ପାଞ୍ଚମି,  
 ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରି, ଗାନ୍ଧୀ ମୁଦ୍ରା।

୦. ୫.



୩୦ ଜାନୁଆରୀ, 1916 ଫ୍ରେଶ୍

→ ବାହୁଦାର ପତ୍ର ପରିଷଦ →



ତଥାତୋଣି

ବାହୁଦାର ପତ୍ର ପରିଷଦ, „ଶରୀରମା“, ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରି, ମୁଦ୍ରା ନଂ 12.

1916



Հա թթցենցըհեծա!

## Ս Կ Թ Ե Ց Տ Տ.



մյ առաս քրու առ զյուղուց  
տէպէնտցու շիքեռ-մոռշոլու,  
կաջանու տէպէնտան յուտաց զբութոն  
Ծքծունու գրմնոնու մոռշոլու.

Ճանու համեն զարդարնու  
շոյունու ճա ենունուտ,  
ռոմ զարնուսարտ մյու տան մոցուցու  
ռանցջունու յոյունուտ.

ու ռամ դոնյ քամենինու  
ճա ան մալս, զյուպունուտ,  
տէպէնտան յուտաց զազութարյու  
ճա առասքրու համոցընունուտ.

մեռլուց յուտու նորոննունուց,—  
յի, նորոնն ոյու մյուշ,  
կոցչյու զալու նվազունունուն,  
կոցչյու Ծքծունուտ քամենուցու.

քամենուցու, ռոմ նոյզունու  
մուզունուտ կյուլու ծնա  
ճա մյու զալու մոցունունու  
և սվազունունու յարամունա.

ՑՈՉ ՑԼՑՈՑՑՈՒՆ.



## ლომი გალიაში.



იდექი ლომის გალიასთან. გაზაფუ  
 სული იყო. უკელაფერი უვაოდა.  
 ურინველები ბუდეს იკეთებდენ. უდის  
 ბნოს მევე იწვა. თათი თათზე გა  
 დაედო. მორს გაიურებოდა. თვა-  
 ლებძი სეგდა ენატებოდა. თა-  
 ვის მორულ სამშობლოს თუ იგო  
 ნებდა? თავისუფლება ენატრებოდა.

ჰაწია ჩიტუნია იქვე დაფრინავდა. ბუდეს იკეთებ-  
 და. მომავალ შეილებისათვის ბუდემი ჩასაგებათ რბილ  
 რამეს ეძებდა.

ჩიტუნია შივარდა ლომთან, ნისკარტით რამდე-  
 ნიმე ბალანი თათიდან გატოამრო.

ლომი არ განმრეულა. ის ლმობიერათ შესცემა-  
 როდა ჰაწია ჩიტუნიას.



## ც ი ა ლ ა.

(ფუძვნი ჩემ ძვირფას სტუმრებს)



ებიამ დაძინების დროს გამოუცხა-  
და შეილი-შეილებს:

— ხეალ აზრე გენახში უნდა  
წავიდეთ მთელი დღიოთ.

ოს, ოა რიგ უეგარდათ პატარე-  
ებს მთელი დაით გენახში წასვლა.  
თუმცა ჯერ მკათათვე იუო, უურმე-  
ნი არ იუო დამწიფებული, მაგრამ  
თავისუფლათ ხომ მიირბენ-მოირ-

ბენდენ ბავშები სუფთა ჰაერზე.

ციალამ. მაძინვე ნემსი და კოჭის მაფი მოამზა-  
და ხეალისათვის.

— მე უნდა დუდლება ავასხაო.

ასალი ფეხსაცმელიც გამოიდო კალათიდან, ოამ-  
დენჯერმე ალერსიანათ გადაუსვა სელი და თავის სა-  
წოლთან დაბლაგა.

სანდრომ საჩქაროთ შოლტს დაუწეო წნა: ხეალ  
მთელი დღის საგძალს ისაკო ცხენით წარდებდა და  
მაშ შოლტი არ უნდოდა მხედარს? სანდრო ხომ  
უქცევლათ ზედ მოაჭდებოდა გაჭიკნულ სურჯინით  
დატვირთულ „ამათელს“.



„ქამათელი“ ერქვა სახდროანთ ცხენს: სიემაწ-  
ვილები ქამათელივით ხტოდა და თუმცა ესლა ზღა-  
ზვნით ძლივს დადიოდა ტუჩ-ჩამოვარდნილი მერანი,  
მანც სიემაწვილის სახელი ისევ შერჩენოდა.

მაჟვალა ბებიას ემუდარებოდა:

— გეთავა, ბებილო, აბრეშუმის გორგალი  
რომ გაქვს შავი, ის მე მომეცი, უნდა ხვალ უას-  
ხოს ქონები შევპო. მერე რამდენი უასაჩო იცის ჭო-  
სის გვერდზედ ვენახში!

— შვილო, აბრეშუმის მაფი რომ არ გამიჯუ-  
ჭო, აგერ ჩემ სკივრში თეთრი ბაბის მაფის გორ-  
გალია ნახარჯი და ის ამოიღე, უბასუხა ბებიამ.

წვალებით ახალა მაჟვალამ ბებიას სკივრს მმამე  
თავი, სვნებით ჩეულ შიგ სელი და თუმცა დახურვამი  
სელიც დაიწერება, იმის დარღი არა ჭქონდა, რადგანაც  
უასაჩოს თაიგულების შესაკრავათ მაფი იძოვა. გიგი  
მართა დედაქაცს ქალათას სთხოვდა, უნდა ვენახში  
ლოკოგინები ავკრიფოვო.

— დიახ, დიახ, სწორეთ ლორწოიან ლოკო  
კინებით გაგაფუჭებინებ ქალათახ, უებნებოდა მართა.

— ლორწოიანი! — წერით გააჯავრა გივმა მა-  
რთა.

— ჟო, აბა წაიკითხე წიგნში შენ სომ არა იცი  
რა, რა სასარგებლობა ჩვენთვის ლოკოკინა.

— როგორი სასარგებლოც უნდა იუს, მე კა  
ლათას იმათოვის არ მოგცემ, თქვა მართამ გაჯავ-  
რებით.



— მერე რად გინდა, შვილო, ლოკოკინები? შეუკითხა ბებია.

— აქ წამოვიუვან, ბებილო, ჩვენ ბაღძი დავასახლებ.

— ავერა, შვილო, ბუსრის თავზე რო პატარა კასრი სდგას, ალია ლეკის გაკეთებული, ჩემი ქრის ლოსანი რომ ბევს შიგ, ის წამოიღე, უთხრა ბებიამ.

გიგის ადტაცებას ვიღა ასწერდა. კუნტრუშით მიირბანა ბუსრთან, შესტა და კასრი ჩამოიდო... როდის, როდის დაწებენ ბაჟშები, შაგრამ სვალინ-დელ დღის მოლოდინში, ვის მოუვიდოდა თვალზე ლული.

უვალაზე ადრე მაინც მოუსვენარ სანდროსაბიჭი-კოს ჩაეძინა.

გათენდა. პატარებმა დიდებს აუსწერეს, სხვა დროს ბებია რა მუდარით ააუენებდა სოლმე!

ფაცი-ფუცით დალიეს ჩაი. უკალა თავის წასაღებ ბრეს უკრიდა თავს. არც პეტელების საჭერი ბადე დაგიწეუბოდათ.

„ეამათელი“ სურჯინ-აკიდებული აიუნის სტვერ-ზე გამობმული ისაკოს ელოდა.

— აბა, ქალბატონო, მე მჰათ გახლავარ, სოჭა ისაკომ.

ბაჟშები მოუთმუნდათ ელოდენ ბებიას.

ავერ ბებიაც გამოვიდა რიგანზე, სახლის კარი გამოკეტა და დაიძრა მთელი ამალა.

ბაჟშები ისე ფეხშარდობდენ, რომ ბებია და „ქა-მათელი“ გერ მისდევდენ მათ.



— თქვენ სამაგლებო, მაღლიან ჩქარა გარბისართ,  
ალექსიანათ უთხრა ბებიამ ბავშვებს: ემანდ გველი  
არსად დაგნედეთ, არ შეგაძინოთ.

— მე გველის წამალი კიცი, თქვა სანდრომ,  
უნდა უთხრა: გველო, ანგარა მოვიდაო, და მაშინ-  
გე დაიგარგება, ისაკომ მასწავლა.

— ი-ი, წაიბუდისტა დარცხვენით ისაკომ: რო-  
დის გასწავლე.

ათი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენი მგზავრები  
სოფლის ბოლოს მივიდენ, სადაც იუო მათი  
გენახი.

„კამათელი“ მამინვე გაანთავისუფლეს ტვირ-  
თისაგან. ისაკომ აღვირი წაჭერა, მოხსნა თოქალ-  
თო და იქვე ნაკადულის პირას, რომელიც გუნახსე  
მირბოდა, ყლუბლის ხეზე გამოაბა.

ციალამ ნემსი და მაუი ძმოიდო ჩანთიდან და  
ქახს უკან მოუსვა, სადაც დუდლუბა ეგულებოდა. სანდრომ საურმეზე მოჰკურაცხლა, კივი გასრით ხელში  
ეორისაქენ გაქანდა: იქ იცოდა მრავალი ლოკოინა.

მაუვალა გორგლით ხელში უაეაჩოს ეძებდა.

გამეფანტენ, რადა ვქნა, ჩიოდა ბებია.

— არაურმა შეგაძინოთ, მვიღო, ემანდ გველი  
არსად დაგვსწეთ, ემასდა ბებია თავის ჭუკებს, მაგ-  
რამ ვის ესმოდა ბებიას მასილი.

— მართა, გეთაშება, თვალეურიაძევნე ბავშვებს,  
სთქვა ბებიამ და თითონ ქოში შევიდა დასასვენებ-  
ლათ.

ციალამ უშველებელი მძივი აასხა დუდლუბისა  
და ახლა გენახის კარებისაკენ გაექანა. მართა ხურ-

ჯინს დაქარტონა. სადილისათვის მოშორებით ცეცუ ხლი დაანთო. ისაკო კაკლის დასაკრეფათ გაგზავნა, ქალბატონს ნედლი გაგლი უევარსო. სანდომ იდროვა, „კამათელი“ აუშვა და ქოსის უკანიდან საურმეზე გააპარა. იქ კაკლის მორთან შეაუენა, შეხტა მორზე, მოაჯდა „კამათელს“ და შოლტის ტელაძუნით დაშვა საურმეზე. აქეთ იქით გუმინდელი გამოთიბული ბალასის ბულულები იტეუებდენ „კამათელს“, სანდო ამლევდა მას ნებას. რამდენჯერმე ააშენ-ჩააშენა. „კამათელს“ მოთმინების ფიალი აევსო, მოიკრიფა უკანასკნელი მალა, შეფუნდრუკტა და სანდო თივის ბულულზე დასცა, თითონ იქვე ბალასს ძოფნა დაუწეო, მითომ აქ არა ფერით. ამ დოს ციალა უკვე ვეჩახის კარებში გადიოდა, იქ ეანებშიაც იცოდა ათას გვარი უვაკილი, გვირილა რომელიც ბებიას არ მოსწონდა, ციალას მრიელ უევარდა. ქა, ეს რა ხმა მოესმა ციალას!? თითქო ვიღაც ტიროდეს! ცოტა წინ წავიდა და შიგ უანაში მოკეცილი თავის ტოლი გოგონა დაინახა. გოგონა ქალამანს ჩალას უგებდა და თან ცხარე ცრემლით ტიროდა.

— რათა სტირი, ქაჯან? შეეკითხა ციალა.

— ბებია ჩემი აგერ ამ მომკალზე თავთავს მაკრეფინებს, ქალმები გაცვენთილი შაქვს, სულ დამეჩევლიტა ფეხები, თან გახურებული მიწა მწვავს, ქვითინებდა გოგონა.

— მერგ, ქალამნები რად ჩაგიცვამს, შენ ხომ ქალი ხარ?



— როცა სხვა არაფერი მაქვს, ტიტველა ფერები უფრო არ მეტკინება? ესენიც ჩვენებიანთ თუ დუას იოსებამ გადევარა, მე ავიღე, და ჩავიცვი.

— რადა ჰქონეთ თავ-თავს? განა ბური არა გაქვთ? შეეკითხა გულამოძევდარი ციალა.

— ბური რო გქვონდეს აქ აღარ ვიწერიალება დი! გუშინ კინაღამ სისხლით არ დავიცალე, და ცხა და ცხვირიდან სისხლი წამგზოდა, მთელი დღე მდიოდა. დღეს კი ისევ თავთავის ასაკრეფათ გამომგზანა ბებიაძ.

— დედა არა გეავს?

— არც ჯერ მეაგს, არც მამა. ბებიას მეტი არავინ მეაგს, განაგრძობდა ქვითინით გოგონა.

— მე საწეალო, მამ ვინ გიუიდის ფეხსაც მელს?

— არავინ, აკი არც მიუიდიან სოლმე, მე ჩემ დღეში არცა მცმია ასალი ფეხსაცმელი.

— ბალიან გინდა რომ ჩემისთანა ფეხსაცმელი გქონდეს?

— გოგონას დიმი მოუვიდა ტუჩებზე, ცნობირი ჭუჭეიანი სელით მოიწმინდა, გაისვა მაჯა ცრემლიან თვალზე და გეხსათ შეხედა ციალას.

— მინდა, ახლა რო მინდა?

— მე მოგცემ. სთქვა ციალამ, იქვე ჩაჯდა და ფეხსაცმელის სდა დაიწეო. საჩქაროთ გაისადა ორივე და გოგონას მისცა.

— აქა, შენ ჩაიცვი, აბა ნახე, გამოგადგება? გოგონამ დარცხვენით გამოართვა, სელუბის კანკალით



ჩაიცემა ფესტაციური და ბლელებული სან ციბლას  
შესედავდა, სან ფესტებზე დაიხედავდა.

— შენ?! შეეკითხა ბოლოს ციბლას.

— მე შინ სხვებიცა მაქვს, სოქვა ციბლამ და  
წინდების ამარა სიბმონებით სავსე ჰატარა კეთილა-  
გულით შენახისაკენ მოუსვა.

ნინო გოგნიაშვილი.



## ცისფერი პეპელას ბედნიერება.

ერთი დაღვრემილი შავი ჭია ბალასება  
ში დასეირნობდა და მიწასა სთხოდა.  
იქ შორი ახლოს ორი პეპელა შეამჩნა,  
რომელიც ეს-ეს არის გამოჩეკილიუმან.

ისინი ორნი იუვნენ. ფოთოლზე  
ისხდნენ და თავიანთ ფრთებს იძერტებავ-  
დნენ და ისწორებდნენ. ერთს შავი ფრთე-  
ბი, ჟეონდა და მმუქნიერი ოქროს ფერი  
ზოლები მეორეს კი ბლის ფერი.

ჭია ოძღვნიმე ხანს თავისი დაღვრემილი შავი  
თვალებით ათვალიერებდა, შემდეგ ფრთები გამალა  
და იმათთან მიფრინდა.

— იცი ჩემო დაო, ვინ არის ეს საძინელი შეს ხინჯი? წაუჩურნელა ერთმა პეტელამ მეორეს.

მეორბარი შიბრუნდა და ჭიას დანახვამ ისე შეაძინა, რომ ხმის ამოღება ვეღარ გაბედა.

ჭია კი სულ უასლოვდებოდა. შიშისაგან აკანგალებული პეტელები ერთმანეთის მიეკურენ და ამ საძიმარ სულდგულს თვალს არ აშორებდნენ.

— რა ვინდა შენ ჩვენგან? რატომ ეგრე ხმაურობ და მაგისთანა მაგარი ხორკლიანი თითები რესტომა გაქვს? შიშით ჟჰითხეს პეტელებმა ჭიას.

— მე იქვენთან რა საქმე მაქვს! მე იმიტომ ებზუი, რომ ბუზანგალა ვარ და ამიტომ ასეთი მაგარი კანი და ხორკლიანი ფეხებიც მაქვს!.. ბუზანგალა! გესმისთ თქვენ! და თავისი გაჯავრებული ულვაშები ისე გააცმაცუნა, რომ საწუალ პეტელებს ძირით სულთქმა შეუგუბდათ.

— დიდათ მოხარული ვართ, ბატონო ბუზანგალავ, დიდათ მოხარული, რომ გავიდანით, ნელის ხმით წაიძულებულა ოქროს ხოლებიანმა პეტელამ,— ნუ გაგვიწურები, რომ ვერ ვიდანით! პარუელათა ვერდამთ ბუზანგალებს. ჩვენ — პეტელები ვართ, ვსხედვართ და ველით ფრთები როდის გაგვისწორდება, რომ გავფრინდეთ.

— თქვენ პეტელები ხართ? მე ძალიან კარგათ ვიცი! განა მესაძლებელია რომ ბუზანგალამ არ იცოდეს! გასაოცარი იქნება! მე კიდევ ბევრი რამ ვიცი, იმიტომ რომ დიდხანს ვცხოვრობ ქვეენიერებაზე, ბევრი მინახაშს და ჭიას მწერათ ვითვლები.



— თქვენ უთუოდ მალიან ჟეკიანი უნდა იქოთ.  
შედგე გეტიობათ...

— დიად მე თქვენ არა გვევარ დიდათ მოხა-  
რული ვარ, განა ბედნიერათ ცხოვრება შესაძლებე-  
ლია, როდესაც ზურგზე ამისთანა ბრწევიალა წმინ-  
და ქსელი აქვს კაბმული? როდესაც ასეთი ხუსტი  
ფეხები აბია, როდესაც ასეთი მოკლე სიცოცხლე  
აქვს? დიდად მოხარული ვარ, რომ ბუზანკალათ და  
ვიძადე.

— როგორ თუ მოკლე სიცოცხლე? წამოიუერა  
რეს ორივე ლამაზმა პეტელებმა და თავიანთი ფრთუ-  
ბი გაანძრიეს.

— დიახ! თქვენ არავერი არ იცით და მე კი  
უველავერი! მე დიდხანს ვცხოვრობ და თქვენ კი, სუ-  
ლელ პეტელებს, სულ რამდენიმე დღის სიცოცხლე  
გაქვთ... ეხლა კი გაფრინდით, მე კი აქ მარტო  
დავრჩები და არავინ არ მჭირია. დღისანს ვიცოცხ-  
ლებ ჩემთვის ბენიერათ.

პეტელებმა ფრთები გამალეს და გაფრინდნენ. ერ-  
თ სურნელოვან უვავილიდან მეორე უვავილზე დაფ-  
რინავდნენ. მხის სხივებს ეთამამებოდნენ და გრილ  
და სურნელოვან ცვარსა სვამდენ, მავრამ მსიარულებს  
გერა გრმნობდნენ.

— გაიგე ჩემი დაია? უთხოა ალიქვერმა პე-  
ტელამ თავის ამხანაგს: იმ ბუზანკალამ სთქვა რომ  
ჩვენი სიცოცხლე მალიან მოკლეა. ეტეობა იმან უვა-  
ლეთერი იცის.

— მეც მალიან ჩამაფიქრიანა მისმა ნათქვამმა,

უნასუსა მეორემ — უვაკილიდან უვაკილზე მხიარულით  
დაფურინავ, მაგრამ ბუზანგალის ნათქვამი არ მავიწევ  
დება.

— ოოგორ უნდა გავმსიარულდეთ, ოოდესაც  
ბუზანგალამ გვითხრა, ოომ სულ რამდენიმე დღის  
სიცოცხლე გვაქვს!

ბეჭელები ფიქრმა და ნაღველმა დაასუსტა და  
ერთხელ ფუტკარმა უვაკილზე ორივე მკვდარი ნახა.

იქვე ახლოს ბუზანგალაც გამოჩნდა, თავის ნაც-  
ნობ ბეჭელებს შესედა და გაჯავრებული სთქა:

— რასძეებირელია, განა მე მართალი არა გსუ-  
ქი? კიდეც მოძვრარან! — განა ლის ბეჭელათ გა-  
ჩენა?

• მას აქეთ ის ახალგაზრდა ბეჭელებს დაქებდა და  
ეველას იმას ეუბნებოდა, რაც პირველ ბეჭელებს  
უთხრა:

— ნუ გგონიათ, ოომ თქვენ ბედნიერები იუოი!  
რამდენიმე დღის სიცოცხლეში რა ბედნიერებაა? აი  
მე ბუზანგალა ვარ, დიდხანს გიცოცხლებ და ბედნი-  
ერთაც.

ეველა ბეჭელები ამ ნათქვამის შემდეგ ნაღვლით  
სუსტდებოდნენ და ჩვეულებრივზე ადრე ისოცებოდნენ.  
ის კი შესცეკროდა ამ ლამაზს სულდგმულებს და  
იმეორებდა:

— განა მე მართალი არა ვარ, რასაკვირველია  
მე უოველთვის მართალს ვამბობ. მარტო ამისთანა  
მაგარ კანიანს, ოოგორიც მე ვარ, დიდხანს და ბედ-  
ნიერათ ცხოვრება შეუძლია.

## II

ერთხელ ბუზანგალამ ნასა რომ კვერცხიდან მშვენიერდა, თეთო ზოლებიანი ბეპელა გამოიჩინა. ის ასლოს მაფრინდა და ამან ჩვეულებრივი ლაშარაკი დაუწეო:

— ეური დამიგდე, ცისფერო მშვენიერებავ, რასაც ჭკვიანი ბუზანგალა გმტევის, შენი სიცოცხლე მალიან ხანმოკლეა და ბედნიერებას გერ მიახწევ! მე სულ სხვა ვარ.

ბეპელამ საჩქაროთ. სიტუაა გააწევეტინა:

— მე შენი ნათქვამი, ბუზანგალავ, არა მჯერა. მე მაინც ბედნიერებას ვიგრძნობ. უშესებელია ქვეუსიურებაზე არის იმისთანა სულდგმული, რომელსაც ხანმოკლე სიცოცხლე აქვს, მაგრამ ბედნიერია?

— შენ ჩემი სიტუაა არა გჯერა, დაიბუზილა ბუზანგალამ.—რამდენი შენი ამხანაგები, რამდენიმე დღის დაბადების შემდეგ, ჩემ თვალ წინ დაიხოცნებ! შენც როგორც ისინი მალე მოკვდები.

— მერე რა უეო? მე მაინც ბედნიერი ვიქწები!

— არას დროს, ვესმის, არას დროს! ბედნიერი მარტო მე ბუზანგალა ვარ, იმიტომ რომ მე სხვანაირათ ვცხოვოთ, ჩემი ტანი ბრწყვიალა, მაგარი კანით არის შემოსილი. მე არც ქარისა და არც წვიმისა არ მეშინან. მე არაფრთ არ მიმაჩნია არც ნჯლევა და არც ეკლის ჩხვლეტა!

მაგრამ ბეპელა ეურს არ უგდებდა, ფრთები გაიაფრთხიალა და ამ უსირცხვო ებედ ბუზანგალას მოშორდა.

რა მშენიჭოთ ანათებდა მზე! ვარდის და ზემბაც სის სუნი ადამიანს ათობდა! რა ტებილი ცვარია უვავილებზე! ბუზანგალა კი იმასოდა, რომ ბედნიერი არ ვიქნები! სულელი, გამოშტერებული ბებერი ბუზანგალა. განა ეს ბედნიერება არ არის—ზამბაცზე ჯდომა და მზის სხივებზე ქანაობა! ისიც მართალი არ უნდა იუოს, რომ ჩემზე მოკლე დღე არავის არა აქვს. ეს შეუძლებელია! მშენიერმა თავი დაღუნს, ზამბაცის ფოთოლს დაკრინს, აკოცა და წაიჩურისულა:

— მითხარ, მშენიერო ზამბაცო, მენ ქვეუნიერებაზე დიდხანსა ცოცხლობ?

— ჰო, დიდ! ალერსიანთ უპასუხა ზამბაცმა და ნელათ ფოთლები გააპრიალა. მე დიდი ხანია, რაც ავევავდი და მინამ ჭაერში სითბოა უვავილი არ მომაკლდება, ერთი დაჭკნება, მეორე გაიშლება.

პეტელამ დაისვენა და გაფრინდა.

მეორე დღეს პეტელა ბანკლევლიან უუტკარს შესვდა, რომელიც ერთ დიდ უაუჩოზე იჯდა და ჭკითსა:

— მითხარი, ბანკლევლიანო უუტკარო, მენ დიდ ხანს ცოცხლობ ამ ქვეუნაზე, დიდ ხანსა ჭკრებ თაფლსა?

უუტკარშია უპასუხა:

— ჰო, ჩემო მშენიერებავ, ძალიან დიდხანს.

— სიცივე რომ დადგება შენიც მოკვდები?

— არა, მაშინაც არა ვკვდები, ზამთარში ჩვენ თბილ სახლში ვცხოვობთ. სახლებს ადამიანები გვიშენებენ.



— მე ეს არ ვიცოდი, საუკარელო უუტქორობითაც  
მე მაინც მინდა ვიცოდე სცხოვრობს ვინმე ჩემზე  
ნაკლებ თუ არა?

— წადი, იფრინე, ჰყითხე კრაზანას, მუმლს,  
ლოკოკინას, ჭიანჭელას...

უუტქარი გაფრინდა.

შეორე ღღეს ცისფერი მშენიერება მორს გაფუ-  
რანდა, რომ შეიტეოს თუ იმაზე ნაკლებ ვინა ცხოვ-  
რობს, მაგრამ შეიტეო, რომ კრაზანაც, მუმლიც და  
ჭიანჭელაც დიდხანს ცხოვრობენ.

— იქნება ბუზანგალა მართალს ამბობს: ფიქ-  
რობდა პეტელა, იქნებ მართლაც მე შველაზე სან მო-  
ქლე სიცოცხლე მაქვს!

მერე მხიარულ ანგარი ნაკადულს ჰყითხა:

— მითხარი ანგარი ნაკადულო, დიდხანსა ცხოვ-  
რობ ქვეშანაზე!

ნაკადულმა ერთბაშათ არ უასეუხა, ამრიალდა  
და გაექნა.

— არა მცალიან შენთან სალაპარაკოთ სადა  
მცალიან, დიდისანია მე გცხოვრობ, დიდისანი გფრია-  
ლებ, დიდისანი მივრბივარ.

— მალე არ მოკვდები? ჰყითხა ფრთხილათ  
პეტელამ.

— რა სასაცილო რამა ხარ, სწორეთ სასაცილო  
აშშავია! ჩვენ არასდროს არ გვედებით. მე მდინარია  
საკენ მივრბივარ, ჩემ წეალს შიგ ჩაურევ. მე არა  
გვედები, როცა ძალას დაცხება, მაშინ ცოტათ  
დაკშრები.

„ბედნიერო ნაქადულო“ ამთაოხორა პეტელამ. მაგრა რამ მაინც მხიარულათ მაღლა ჭარბი აფრინდა. მეც ძალიან კარგა ვცხოვორობ: მზე მათბობს, ცვარი მასა სასრდოვებს, ფოთლები წვიმისაგან მიფარავენ, უვა ვილები ნანას მიმღერიან. ნეტავი სად არის ეხლა ჩემი ბრაზიანი ბუზანკალა? მე უამბობდი თუ რა ბედნიერი და მხიარული ვარ, თუმცა უგელაზე მოკლე სიცოცხლე მაქვს“.

## III

ამ დოოს პეტელას ბალახში შრაალი მოესმა, მირს ჩამოფრინდა და თავისი ნაცნობი ბუზანკალა დაინასა. მაწაზე ეგრო, ძლივს სუნთქვდა და დამტკრეულ ფეხებს ძლივს ანძრევდა.

— რა დაგემართა, მე საწეალო ბუზანკალავ? ჰყითხა აღელვებულმა პეტელამ — რატომ ეგრე მმიმეთ სუნთქვა, შენი მაგარი კლანწები რამ დაგიმტგრია?

— ბავში მირბოდა და ფეხი დამადგა, გაფრენა ვერ მოვასწარი. ჩემი მმიმე ფრთხები ადგილიდან ვერ დავმარი. აჟ! ბევრათ მერჩივნა შენისთანა აბლაბუდას ქსელივით წმინდა და სუბუქი ფრთხები მქონოდა.

— როგორ? შენ ჩემზე აღრე კვდები? საწეალო კარგო ბუზანკალავ. რა სახით მებრალები!. რამდენი ხანია დავეძებ იმისთანა სულდგმულს, რომელიც ჩემზე უფრო მოკლე ხანს სცოცხლობს და შენ კი შეგხვდი, საწეალო, საცოდვო ბუზანკალა! პეტელა მოძაკვდავ ბუზანკალასთან ასლოს მიფრინდა.. მე შენთან დავრჩები და ჩემი ფრთხების ნიავით გაგაბუ



როლებ.. იქნება სიკვდილს გადარჩე და გამომოქველული პეტელა ბუზანკალას მიუჯდა და თავის მშვენიერ ცის-ფერ ფრთებსა შლიდა.

— რა კარგია, რა საჭიროებოა! წაიბუტიბუტა ბუზანკალაძ. რახაირი და ნაზი ნიავი მოაქვს შენ ფრთებს... მალიან ვწუხვარ რომ კარგათ ვერა გხე-დამ, თვალები მტკვრითა მაქვს ამომხებული.

— ჩემი ნაზი თათებით თვალებს ამოგიწმენდამ, ალერსიანათ უთხრა პეტელაძ და საქმეს შეგდგა.

— რა ნაზი და ლამაზი თათები გაქვს, ამბობ-და მაღლიერი ბუზანკალა თვალებს ახელდა, მოწუენი-ლი გამოიეურებოდა. ესლა კი მწუურიან, წელი გამომაბრუნებდა.

— ესლავე ერთ წევთ ცვარს მოგიტან და პეტე-ლა ცვარის მოსატანათ გაფრინდა.

— რა ჩქარა დაფრინხავს! რა ალერსიანათ მეპერობა, ფიქრობდა ბუზანკალა.

აი კიდეც მოფრინდა, პირში ნამი ჩაუწევთა და გააგრილა.

— მაღლობელი ვარ, კეთილო პეტელავ! მაღლო-ბელი ვარ ალერსიანო მშვენიერებავ! ესლა კი დას-შვიდებული მოვავდები.. მე მარტო იმასა ვწუხვარ, რომ გაგაჯავრე და შეგაწუხე.

— ნუ სწუხარ, საწუხალო ბუზანკალავ! მე სუ-ნელოვან ევავილიდან ევავილზე დავურინავდი და დავნავარდობდი, მსის შექშე ვთბებოდი და ბეღნიერი ვიჟავი... ესლა შენთანა ვზიგარ და დავმეგობრდით... დაგანიავო კიდევ ჩემი ფრთებით? ეგრე კარგია?

მაგრამ ბუზანკალას იმისი სიტევები ადარ ესმო.  
 და, ის ამ ნაზი ფრთებით გაგრილებული მოკვდა.  
 შეპელა კი ვერ ამჩნევდა, ის თავის ფრთებს აფრი  
 თხალებდა და ალერსიანათ უჩურჩულებდა:

— ნუ სწუხარ მე საცოდავო ბუზანკაჲავ! მე  
 ძალიან ბეჭნიერი ვარ, რომ შემიძლია ცოტათი  
 ძალიც დაგეხმარო. იქნება დიდხანს ვერ ვიცოცხლო,  
 მაგრამ სრულებით არა ვნანობ...

ფრთები დაუსუსტდა, ოითები დაუღალდა და მზის  
 ამოსულაზე მშენიერი ცისფერი შექელა შავ ბუზანკა-  
 ლასთან გვერდით მკვდარი ეგდო.

უკანასკნელათ ერთი სუსტათ წაიჩურჩულა:

— მე დღეს ძალიან ბეჭნიერი ვარ... ძალიან  
 ბეჭნიერი!

(თარგმანი)

ეკა. მესხი.



## 006 პონა.



უცენიერი გაზაფხულის დილა იურ. ცხრათვალა  
 მზეს ცის კიდურზე თავი ამოეეო და ქვემა-  
 ნას სიცოცხლის წეურვილს უდგიმებდა. სოფლის  
 გარშემო თოვლი უკვე აეღო. მახლობელ მთებმიაც  
 გამლასვალიურ და ნაკადულებათ ქცეული ზაწაწა მდინა-  
 რეს ეხეთქებოდა, ოომელიც ადიდებულიურ და შეუი-  
 ლით სოფლის მუა ჩარიხრისებდა. თოვლისაგან გან-  
 თავისუფლებული დედამიწა გაზაფხულს დღესასწაუ-  
 ლობდა და მწვანე სავერდის ქაბით ირთობოდა. მის  
 დასამშვენებლათ სხვა და სხვა ფერ სურნელიან  
 უვავილებს თავი ამოეეოთ და მზეს შეციცინებდენ.  
 სეებიც დღესასწაულს შეგომოდენ და ახალ ტანი-  
 სამოსძი ეწეობოდენ: ზოგი შეკვირტულიურ, ზოგი  
 ასლათ სარობდა და ჰევავოდა. მაღაზა ჩიტუნები  
 ხეებზე ესკუპნენ და ტკბილის ჭიკჭიკნავარდით არე-  
 მარეს ამსიარულებდენ, თანაც მწერებს იჭერდენ.  
 ცქრიალა ბეჭელები უვავილებს თავს ევლებოდენ,  
 ეალერსებოდენ. ფუტკარიც გამოფრენილიურ თავისი  
 სკიდან და თაფლისათვის ნაზ უვავილებს სწვეოდა,  
 უვავილები ფიანდაზათ ემლებოდენ მკირფასსტუპარს,  
 ტკბილის წევნით პირს უკოკლოზინებდენ და საამუ-  
 რის სუნით ათორიბდენ. საქონელი მინდორში გამო-  
 უქნილიურ და ბდავილ-კუნტრუშით გაზაფხულს შექ-



ხაროდა. ბატქიც თავის ჭუჭულებით მინდორში სძოვდენ.

სოფელში გლეხეცობას უპევ გამოედვიძნა და უკელა თავის საქმეს შესძგომოდა: ზოგი გუთანს მიაღრაჭუნებდა, ზოგი სასუქს ეზიდებოდა, ზოგი ვერ ნასხა სხლავდა, ზოგი სარავდა... სკოლაშიც მოსაწავლე ქალაგაუი ნელ-ნელა იკრიბებოდა. ბავშები ეზოში თამაშოდენ, სტოდენ, მღვროდენ, ცეკვავდენ; ზოგი ბეჭელებსა სდევდა, ზოგი ევავილებს კრეუდა, ზოგი დედოფალას ჰემაზავდა, ზოგი ბურთაობდა... ბავშები სკოლაში ადრ იანათ მოდიან სათამაშოთ. ტური ფა გაზაფხული ამათაც ისევ უხარისათ, როგორც ჩიტებს.

ამ სკოლაში სუთი განეოფილებაა. თვითეულ განეოფილებას თავისი მასწავლებელი ასწავლის. მო-წავეები უპევ შეგროვდენ. მესამე განეოფილებას ბავშებიც უკელანი იუვენ, მხოლოდ მარტო ერთი მოწავე, მართა, ჯერ არ მოსულიერ. მართა ცერიბლა და მალხაზი გოგონაა, მხიარული და უწენარი, ამიტომაც ამხანაგებს ის მალიან უკვართ. სწავლაშიც მართა უკელას სჯობის და საუკეთესო მოწავეთ ითვლება. მასწავლებელი სულ იმის ქებაშია. მართა უოკელთვის აღრიან მოდიოდა სოლმე სკოლაში და დღეს რომ დააგვიანა, ამხანაგებს თვალში აკლდა. შეფიქრიანდენ.

— ქა, რა გქნა, მართამ რათ დაიგვიანა? ავათ სომ არ არის? რა დაემართა, ქა. — მოწეუნით სთქმა მართ.



— არა გოგო, ავათ რაზე უნდა იქოს, გუმინ  
სადამოთი მე და ის ერთად ვთამაშობდით, გაკვეთი-  
ლებიც ერთათ მოვამსადეთ. — მიუგო ელიკომ.

— ალბათ ოჯახში თუ დაასაქმეს. — გამოელაპა-  
რაკა შაქრო.

ამ ძიებაში იუგინ რომ მართა დაინახეს. თავჩა-  
ქინდრული ხელის ნაბიჯით მოდიოდა, სახე დაღვრე-  
მილი ჭქონდა. მისი ასეთი დანადგლიანება რომ ნა-  
ხეს მიცვივდენ:

— ქაჯან, რა ამბავია, ეგრე რამ დაგაღონა? —  
ჰქითხეს. მართამ გულამოსკვნით უთხრა:

— ჩვენი მასწავლებელი ომში მიჰეავთ!..

და ამ დროს გიმრისფერი თვალებიდან არი აბო-  
ლი ცოტებლის მარგალიტი მოწედა და მირს დაეცა.

უველანი გაოცდენ, სახტათ დარჩენ.

— როგორ, მასწავლებელითან რა საქმე აქვთ?  
მერე ჩვენ ვიდამ უნდა გვასწავლოს? არა, ტეუილი  
იქნება.

— ტეუილი კი არა და აი ამ დილით მღვდელი  
მა მამაჩემს უთხრა. უბასუსა მართამ.

— მერე შენ საიდან იცი? ეგებ მამამ ტეუილი  
გითხრა?

— მეც იქვე ვიდექ. მღვდელს მალიან ენანე-  
ბოდა...

— ვააჭ-მე! აფხუს ჩვენო უწეინარო მასწავლე-  
ბელო! გულის სიღრმიდან აფეთხექდათ ბავშებს და წი-  
ნათ მხიარულები ეხლა მწუხარებამ მოიცვა, გული  
დასწერდათ.

— ვინ იცის, სხვა მასწავლებელი როგორი იქნება. ენახოთ ისიც აგრე კარგი იქნება... სთქვა ნადგლიანათ შალიკომ.

— ჩვენ მაგნაირ მასწავლებელს ვეღარ ვნახავთ, ამბობდა გიგლა.

ბავშვებს მოაგონდათ მასწავლებლის მიერ ნამბობი ზღაპრები, იგაფარიაკები, მოთხოვობები, ნარჩარის ტკბილი ქართული ენით რომ ებაასებოდა; მოაგონდათ ისიც, თუ როგორის გრძნობით მოუთხოვდა ხოლმე სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველთა გმირობას, სულვრმელობას. თავგანწირულებას... მოაგონდათ მისგან ნასწავლი სიმღერები, თამაშობა და მწარეთ დაჯონდენ.

— ღმერთო, ნეტავი ეხლა მაინც გათავდებოდეს ეს წეველი ომი! — სთქვა დათიკომ, — რომ ჩვენი მასწავლებელი აღარ წაიუვანონ. ჩემი მმაც შინ და მიბრუნდეს.

— ნეტავი აგრე იუოს, ჩემი მმაც რათა ხანია ომშია...

სხვა განუოფილებათა მოწაფებმაც გაიგეს ეს ამბავი და მასწავლებელი მალიან დაენანათ, მესამე-ლებს ეუბნებოდენ: დღეს თუ თქვენი მასწავლებელი მიჰყავთ, ხვალ ჩვენებსაც გაიწვევინ და მაშინ რაღა გემოველებაო.

ამასობაში ზარიც დაირეკა და უველანი თავ-თაუ გიანთ კლასებში შევიდენ. მესამელები წენარათ ის-სდენ, მოწევნით. აგრე მასწავლებელიც შემოვიდა და მიესალმა. ბავშვებმა თავი დაუკრეს, შემდეგ ლოცვა

წაიკითხეს და დასხვდენ. ეველანი მასწავლებელს მი-  
ჩერებოდენ, თვალს არ აძორებდენ. მართა საცოდა-  
ვათ ოხრავდა. სსვებიც გულჩათუთქულები ისხდენ,  
ზოგსაც თვალებზე ცრემლი ემჩნეოდა.

მასწავლებელი მალიან დამწუხრებული იქო. ის  
მოწავეების პირდაპირ სკამზე დაჯდა და ეველას სა-  
თათაოთ თვალებში ცქერა დაუწეო, თითქო უნდა  
დასტყბესო თავის ნორჩი ბავშების მზერით. იმან  
შეამჩნია, რომ ამათ უკვე შემტეოთ მისი ამბავი  
და მიტომაც ასე სიბრძლულით შესცემით და  
ოხრავდენ.

იმათი ამგვარი თანაგრძობა მასწავლებელს ნეტა-  
რების ცრემლსა ჰგვრიდა, უსაროდა, რომ ემაწვილე-  
ბი შრომას აფასებდენ, მის სიკეთეს არ ივიწევდენ.  
უხაროდა და თანაც გული წყდებოდა, რომ ამ მო-  
სიევარულე ანგელოზებს უნდა დაშორებოდა ..

მმრიგათ მასწავლებელი და მთხუავლენი ქარგა  
სანს ერთმანერთის ცქერით სტკბებოდენ, ერთმანერ-  
თის მწუხარებას გრძნობდენ და სწუხდენ. სიჩუმე  
ბოლოს მასწავლებელმა დაარღვია და გაკვეთილი  
დაიწეო. ასალიც არაფერი უსწავლებია, მარტო განვ-  
ლილ ლექსებსა და მოთხოვიბებს იმეორებდენ. უნდა  
გენასათ, რანაირი სიევარულით ეპერობოდა ბავ-  
შებს, როგორ ეალერსებოდა, სულმი ისვამდა... მო  
წაფეხებმა იგრძნეს, რომ დღეს მასწავლებელი უკანასა-  
ქნელათ აძლევდა გაკვეთილს, ხვალ კი იმას ვეღარ  
ნასავდენ, ვეღარ გაიგებდენ მის ტკბილ ქართულ  
ენას...

## ପେଣକେନ୍ଦ୍ର.

III



କେ ଏହା ଗଚ୍ଛତିବଧି, ରାମ  
ମେଲିମାଟ ଶବ୍ଦିର ସାରଜୁ  
ମେଲି ମିଳି କେବେଳିଲା  
ଶେମରାଷ୍ଟ୍ରିରିଲା ରା ତାମୁ  
ରକ୍ଷଣେ ଶବ୍ଦିରାଖେବୁଲି କେ-  
ବିନ୍ଦୁଲି ଶବ୍ଦାଖେବିଲା। ରୁଣ-  
ତିନିବ ତାମରି ମାରିଦିଲି  
ଫିରିଲା, ଫିରିଲି କୁଣ୍ଡ  
ବା ଶବ୍ଦାଇକ୍ଷିବା ରା ଯିବା

କୁଣ୍ଡ ସାଥୀରିଲାକୁଣ୍ଡ ଶବ୍ଦିରା। କାହେବାବାବିରିଷ୍ଟୁନିକ୍ଷେବୁଲି କେବୁ  
ରାରା ଯକ୍ଷିନିଲାକାଳେ ଶବ୍ଦାଖେବିଲା ମେଲିମାଟିର ଦିନିବା।  
ଏହି ଶବ୍ଦାଖେବିଲା ଫୁରାମୁହିଲା ତାଙ୍କିଲି ସାରିକ୍ଷନ—ଯିବା  
କୁଣ୍ଡ।

ମାଗରାମ... କେବା! ସାଥୀରାରି ଫାରିଯିଲି ରାଶିବିଲା।

ଯିବାକୁ ଠିକ୍କିଲାକାଳେ ବୁଝିଲାରା ଠିକ୍କିଲାକାଳେ, କାହିଁ  
ନାହିଁ ତାମରି ଠିକ୍କିଲାକାଳେ ଗାମରାଲିବିଲାରା, ବୁଝିଲିଲାରା ଠିକ୍କିଲାକାଳେ  
ବୁଝିଲିଲାରା। ନେ ତୁ ଧରିବା ରା ଶବ୍ଦିରା! „ଠିକ୍କିଲା, ବିନିମ୍ଯେ  
ଶବ୍ଦିରାନିରାମିଲାରା“, କ୍ଷେତ୍ରିକାଳେ ବୁଝିଲିଲାରା ବୁଝିଲାରା ରା  
ଯିବାକୁ ସାଥୀରିଲାକାଳେ କାହିଁକିମାନିଲାରା କାହିଁକିମାନିଲାରା ରା  
ଯିବାକୁ କାହିଁକିମାନିଲାରା କାହିଁକିମାନିଲାରା ରା ଯିବାକୁ  
କାହିଁକିମାନିଲାରା କାହିଁକିମାନିଲାରା ରା ଯିବାକୁ

თამრობ უგელა ოთახები შემოიარა, ფინუა არ სად იქო. დანაღვლიანებულმა პატარამ სამზარეულოს კარები შეაღო, უნდოდა მზარეულისათვის ეკითხა ფინუას ამბავი.

თქვენს მტერს, რაც იქ თამრობ ნახა.

გაფითრებული თამრო სმაგაკმენდილი შესცეკრო. და იმ კუნძულს, საღაც კუდამომუებული ფინუა სცუ-ცედა და რაღაცას გაფაციცებით თვალს ადევნებდა.

სამზარეულოში მზარეულს ტკბილათ ეძინა.

ფინუა წუხელის სამზარეულოში უოფილიყო. ის მოელვარე თვალებით ბნელ კუთხეებს აცქერდებოდა. სანდახან თათებზე კლანჭებს მომართავდა და კბილებს არაწერებდა.

ფინუა საკბილოს უცდიდა, მაგრამ ის არ ჩნდებოდა. მსუქან თაგვზე კბილებს იღესდა ახალგაზრდა მონადირე, მაგრამ იღბალმა არ გასიკრა და მჭლეც ვერ მოიგდო კლანჭებში. შავთვალა კატა აბა რას შეუნახავდა!

ულმი ნაღველ მოგუბებულმა თამრობ უგელაჯერი გაიგო. მიხვდა, რომ ფინუა თაგვს უდარაჯებდა. თამრო უგელაფერს მიხვდა და ცსარე ცრემლებით დაწვები დაისველა.

— ფინუა, გრცხვენოდეს,—ძლივს ამოილურ ლუდა იმან.

ფინუა სდემდა. ის უურსაც არ იბერტებდა.

აი, გამოცუნცულდა სოროდან კარგა მოზრდილი თაგვი და პურის ნამცეცების ასაკრეფათ თაროსა გასწია.

ოთახში სიჩუმე სუფევდა.

თაგვება აღარ დააგონა, მოემზადა, ის იყო თა.  
როჩედ უნდა ძემსტარიეთ, რომ ფისუამ ბასრი კლან-  
ჭები ცქვიტათ მომართა და საბრალო მსხვერპლი  
ჭაერში დაიჭირა. შიშილისაგან მალუმილულმა ფი-  
სუამ მადიანათ შეასრამუნა ბევრისაგან განწირული  
თაგვი. ისმოდა თაგვის წრიპინი, ძვლების სრამუნი  
და თამროს სლოკინი.

— დღეიდან ხმა აღარ გამცე, მე წუწეო! —  
ტირილით უწერებოდა ბრაზმორველი თამრო უსინი-  
დისო, მოსისხლე მტაცებელს, რომელიც მეგობრო-  
ბა ვერ შეიფერა და წმინდა, უმწიკვლო სიევარული  
საუკუნოთ წაბილწა.

რამდენი არ უცაცხანა თამრომ, წევასკრულჯაც  
გაუგზავნა დედა მისს, ძავთვალა კატას, რომელიც სა-  
ზისლარი ზე მის ცინდალსაც გამოჰქოლოდა.

წუწეოც კი დაუმასა თამრომ მის გუმინდელ მე-  
გობარს. კარები რიხიანათ მიასეთქს და ღრიალით  
გარეთ გამოვარდა.

სმაურობაზე მზარეულს გამოეღვიძა, წამოსტა-  
და დაინახა, რომ იქვე ბხლო ფისუა თაგვს ახრამუ-  
ნებდა.

— უოჩად, უოჩად! — სისარულით წამოიძახა იმან. —  
აგრე უნდა მამ, როგორ! მუქთამჭამელა ღმერთსაც  
სმულს და კაცსაც. საქმე მაჩვენე, მამა, საქმე! გაი-  
სარჯე, თვალა მაკ პიწეინა ულვაძებს სათითაოთ-  
ამოგგლევ. გაშეგაცის სახელს ტევილა ნუ ატარებ!

მზარეულმა ერთი ლაშათიანათ დაამთქარა, იღ-



ლიები ამოცფხანა და გაქონილ საბანში სელატლათორია  
გაეხვია.

## IV

გათენდა პირველი სექტემბერი. დედამ ადრიანათ  
გამოადგინა ლექსო და სკოლისაკენ გაისტუმრა. ემა-  
წვილი უპერე მეორე მოსამზადებელ განეოფილებაში  
ირიცხებოდა. მართალია „მწვადები“ და „ბუბლიკა-  
ბი იმას არ აკლდა, მაგრამ გულს არ იტეხდა; მომა-  
ვალში ბეჯითობას ჭარბდებოდა უკელას.

ახალი წიგნებით და ოვეულებით დატვირთული  
ლექსო ჩქარი ნაბიჯით სასწავლებლისაკენ მიღოგმა-  
ნობდა. სახე ემაწვილური აღტაცებით ბროწეულივით  
აწითლებოდა, ხოლო გიქმავი თვალებიდან სისარუ-  
ლის ნაჟერწყლებს ჰქონდა.

ჭეკვიანი უურია ქვალ და ქვალ მისდევდა ცერ-  
ლურ მოწაფეს.

სკოლის ფართო ეზო ცქრიალა ბიჭუნიებით მო-  
ფენილი იქო. ზოგი ოკუტაფელას თამაშობდა, ზო-  
გი ბურთაობდა, ზოგი კოჭაობდა. იქო საღღესასწაუ-  
ლო ლსინი.

როგორ გაუსარდა ლექსოს, სხვა უცნობ მოსწავ-  
ლების თავის ნაცნობ ტოლამხანაგებს თვალი რთ  
მოაქლო.

აქ დასვდა პეტო, ქოლა, ვანო, სანდორ, დათი-  
გო და ვასიქო...

შეკვიამ კრთხმათ უიუინა დასცა: „ლექსოს გაუ-  
მარჯოს, ლექსოს სალამიო!“

— არიქა, ბიჭო, მაგან ქარგი ცეკვა იცის და



აბა მოდი ერთი დავლური ჩამოუაროთ! — გასძახეჭკურითი  
ერთი მეორეს.

შეიქნა ბზრიბლ-ტრიბლი, ცეკვა-თაბაში; ორიდეუ  
ლას მოძახილი მსმენელის უკრის ატკბობდა. იმდე  
რეს „რაშავრერა“, იმდერეს „აძირანი“, და პატა-  
თავობის ძეუდგენ.

მასწავლებელი აქვსენტი ძორიასლო იღვა. ისიც  
თავისი ბუდის ახლად დაფრენილი ბარტექბის ლხინ-  
ძი ჩაერია. ჭადარა გერცხლის ფრათ უბრჭევინავდა  
და მეტის სიხარულით ძაღლინათ ხარხარობდა. „აბა  
უოჩად, კლიანჭებმი არ ჩაუვარდეო“, გასძახოდა ის  
ლექსოს, რომელიც თავგათ ამოირჩიეს და ოფლით  
გაწუწული ხელიდან უსსლტებოდა იმასავით სირბი-  
ლისაგან მოქანცულ კატას, სოსიკოს.

მასწავლებლის მაძახვილური ხმით წაქეზებული  
მოხწავლები ტამის ცემას ამლიერებდენ და ბუქნა-  
ხტომას ბოლო არ უჩანდა. აი, აკერ თედო გამოს-  
ტება, იმას ვანო მოჰქვება; ბგერ ლექსომ ჩაბუქნა და  
თავზე წამდგარ კატას, სოსიკოს, უირამბალა აქვეიძა...

ეველა ეს უსაზღვრო სიცილ-კისკისს იწვევდა  
ფმუტ ემაწვილებმი.

რა ლხინია, რა თამაში!

ჩუ! ეს უეფა რაღას მოასწავებს! გინაა რო ქვი-  
თინებს, რამ აატირა!

ზატარა ცელქმა ვასომ კუდქიცინა უეფიას უური  
აუწია. ძაღლმა ითაკილა და შეუეფა. ვასომ ურჩიობა  
არ მოიძალა და ულვაძებმიაც წაატანა ხელი... უეფიაბ  
იწვეინა და თითზე უკბინა. დიან, უკბინა უეფიამ ვა-  
სოს.



მოცეკვაზეთ ხმა გაკმინდეს, ცეკვა-ბუქნის ა-ის ფარა  
ანებეს და გასოს გარს შემოესვიენ. დაიწეს ცნობის  
მოუგარე უმაწვილებმა კითხვა-გამოკითხვა: ოომელმა  
ძაღლმა უკბინა, ოატომ უკბინა, სად უკბინა, ატკი-  
ნა თუ არა და სხვა.

— აი, იმ ძაღლმა, ლექსოს რო მოუგა, თითზე  
მიკბინა! — სლოკისობდა ჩატარა ვასო და სისხლიანი  
თითოთ უეფიაზე ანიმნებდა.

— არ გაუშებთ, არ გაუშებთ, ჩავჭრდოთ! დას-  
ჭიქეს მოსწავლებმა და ხაბრალო უეფიას დაედევნენ.

ლექსო გაშებდა. ვერ გამოერკვია რა ხდებოდა  
მის თავზე. უეფიამ მის რეირფას ამსანაგს უკბინა,  
სისხლი გამოადინა და აატირა. ეს დაუჯერებელია!

ხაბრალო უეფია, რამდენი ქვა მოხვდა! ზოგი  
ზურგმი, ზოგი გვერდმი, ზოგი მუცელმი. მაგრამ  
უველაზე უფრო იმ ქვამ დააზიანა, ოომელიც სოსი-  
კომ გამოუქანა და ცალი ფეხით დააკოჭლა.

მასწავლებელი ხმა-ძაღლა გაჟერიდა: ბავშნო, რას  
სჩადისართ, ძაღლს ოოგორ უნდა სცემოთ, არა  
გრცესვენიათ!

მაგრამ გვიანდა იქო.

გოჭლმა უეფიამ წემუტუნითა და რის ვაიგაგლა-  
სით შინაძის მიაღწია.

ზარი დაარაკუნეს და მოსწავლები კლასებში  
დარიგდენ. განცვიფრებული ლექსო ნელი ნაბიჯით  
კლასში შევიდა და წინა სკამზე დამწუხერებული და  
ჯდა.

უეფია თუ მურასავით დაიწებდა ქბენას, ჟინ დეკორაცია  
იუიქრებდა!..

## V

— აკი გეუბნებოდით, შვილო, მაგ თქვენ მე-  
გობრებს ნუ გაანებავრებთ, თორემ ისე გავერანდე-  
ბიან, რომ თავბერს დაგაწევლინებთ — თქო? — ანუ  
გეშებდა დედა თამროსა და ლექსოს, რომელთაც სუ-  
ჭუჭა ოქროსთმიანი თავები მის ქალთაში ჩაეგორე-  
ბიათ და თავიანთ უბედურებას ძესხიოდენ.

დედა დედობრივი სიუვარულით ქოჩორს უფხან-  
და ტიტინა ცელქებს და ურჩევდა, პელავ აგრე მა-  
ლიან არ დამეგობრებოდენ კატებსა და მაღლებს.

ცალუფეხმოტეხილი უეფია-კი დადის გაჭირვებით  
დებოდა და წვებოდა.

კვნესოდა საწეალი, მაგრამ მომვლელი არ ჰეავდა:  
როგორ იყიქრებდა კოჭლი უეფია, რომ მისი მეგო-  
ბარი ლექსო მწუხარების ქამს არ უჭირის უფლებდა!  
უუაას ვერ წარმოედგინა, თუ ლექსომ გული აიცა-  
რება მასზე. საბრალოს კარებისაკენ ეჭირა თვალი  
რომ ლექსო სადაცაა რძიანი ჯამით შევიდოდა მას-  
თან. კარები ბევრჯერ გაიღო, მაგრამ ლექსო არ  
სჩანდა. ლექსო კისერში აღარ იხუტებდა უეფიას.  
გაქრა მეგობრობა!

ფისუას კიდევ უფრო უკვირდა თამროს წერომა.  
არ იცოდა რა დაუშავა თავის მეგობარს იმის ფასი,  
რომ ასე უნუგემოთ მიაგდო და უურსაც არ ათხო-  
ვებდა. თუმცა ფისუა საჭმელს თავისი ბასრი კლანჭე-  
ბით საკმაოთ მოულობდა, მაგრამ ეს იქო, რომ



ხანდახან, როცა თამაშის გუნებაზე დადგემდა ჩატარებული ფისუა, თამროს შეხვედრას ნატრობდა. ამას ბევრი შეიძრული წამი ასსოფლა თამროს გადაიძმი გატარებული.

თამრომ-კი გულცივობა გამოიჩინა და საბუდეა რიც დაუნგრია თაგვის ჭამია ფისუას.

ასე დაობლდენ ფისუა და უკუა, ისინი შეეჩინებართობას.

ფისუას შეუკარდა იმასავით დაჩაგრულა უკუა. პურის ნამცეცქბს მეგობრულათ უჩაწილებდა აკათ მეოფას.

მხოლოდ პირუტევებმა იცნეს ერთმანერთი და ჭირსა და ლსინს ერთად იზიარებდენ.

დღეის იქით ფისუა და უკუა განუერები მეგობრები შეიტენენ.

კოჟანდარი.





## პ ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი არეველაძისაგან)

ერთი დღის საგზალი გინდა მუცლით, გინდა ჭურჭლით.

შვილი ბუნებისაგან ნაბოძები თამასუქი არის.

რაღა ცოცხალი, რაღა მკვდარი შინ მიუსვლელი.

## დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი.

(წარმოდგენილი მარაქიაშვილისაგან)

ზოგი კაცი ოქროს ეძებს, ოქრო კიდევ კაცს დაეძებს.

ცარიელი თოფრით ცხენი არ დაიჭირების, ცარიელი გა-  
ლიით ჩიტი.

ხელთ მყოფი ჩიტი სჯობია ხეზე მჯდომ ორსა.

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ალ. იასალაშვილისაგან).

აი და აგერ.

ასიონის ჭალი ვიყავ, დიდის ვაჭრის რძალი ვიყავ,  
ჭურმუხტის კაბა მაცვია, ოქროს საღილე მარტყია.



გამოცანებისა: მეფის ძევლი, აბრეშუმის ჭია, ცხვარი.  
შარადა — ჩიბუხი.

## ଗୁଣ୍ଡାଜ୍ଞେଶ୍ୱରିର ଧରଣୀ



ଏହା ଯତେରି ପ୍ରେସ୍ତରିଲିଙ୍କା ବେଳୁଗୁ  
ଦିନ  
ମହେମ ଗାନ୍ଧିଲ୍ଲାଙ୍କା, ସିଙ୍ଗରପ୍ରେ ଗାନ୍ଧି  
ପ୍ରୁଣା,  
ମତା-ଧାରୀଙ୍କ ଗ୍ରେମ୍ବୁଲିଙ୍କା ଅଜନ୍ମିତି,  
ଫିନ୍ଫିଲ୍‌ପ୍ରେଦିତ,  
ବିତା ବାନୀଙ୍କ ମ୍ରୁଣରିଙ୍କ ଦ୍ୟାଗେଶ୍ୱରା;

ଏହା, ମତିଲା ତଥେମହେ କୁଣ୍ଡଳ ନାହାଦୁଲି  
ରୀଳିଲା ଦାଉକ୍ରମ ବେଳିତା କାଶ୍ଚାଶିତ,  
ମିଳ କିରୀଙ୍କ ପ୍ରାଵିଲ୍‌ପ୍ରେବ୍ସ ପ୍ରାଚିର ମାରଗାଲିତି  
ମ୍ରୁଣରିଙ୍କ ବାପାଲା ପ୍ରିମ୍‌ପ୍ରିମ-ତାମାଶିତ.

ମହିଳା ମଦିନାରିତ, ମଦ୍ରେଲିଙ୍କ ଦାନାମ୍ବୁଲି  
ପ୍ରାର୍ଥନା ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗାତିଥି,  
ତାଙ୍କ ଅରତିକ୍ଷଣ ଅଦ୍ଵାତ ବା-ପାରିଧି, ଶ୍ରୀମଦ୍ଭୂଲି,  
ଶ୍ରୀଦ ଶିର ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗାତ, ଶ୍ରୀଦ ପଦାଶ୍ରେଷ୍ଠ ଗ୍ରେଦି.

ରୀପ୍‌ରି ପ୍ରାତିକାଳିତ ଶିଲ୍ପା ଲ୍ରେଲାଙ୍କ, ପାରିଶ୍ରୋଦା,  
ପ୍ରାତିକାଳିତ ପାରିଶ୍ରୋଦା ପାରିଶ୍ରୋଦା,  
ନାମି ପାରିଶ୍ରୋଦା, ନାମି ପାରିଶ୍ରୋଦା,  
ମିଳି ଦାଶ୍ଵେଦୁଲି ପାରିଶ୍ରୋଦା ମହିଳା ବେଳିତା.

ନାମି ପ୍ରେଲିଙ୍କବ୍ରଦି, ଦୁର୍ବିଜ୍ଞବ୍ରଦି ଶ୍ରୀକୃତିନାଲି,  
ଶ୍ରୀପରିତଥିବାଲା ଦା ଗାନ୍ଧାଦା,  
ନିର୍ବିଜ ଗାନ୍ଧାଦା, ପଦା ଶ୍ରୀକୃତିନାଲା,  
ଦା ଶ୍ରୀପରିତଥିବା ଲୁର୍ଜ ପିରିତଥି କାଦା.

ଶିବାରତିବି ଲୋପୁଣିଲିଙ୍କବ୍ରଦି, ଶାଶ୍ଵତ ଶଲ୍ପରତ୍ନିଲିଙ୍କବ୍ରଦି,  
ଶଶ୍ଵତ ମେହିପରିବହନିବା ଶିବିକୁଣ୍ଠିକା,  
ଶିରିଙ୍କ ଶଶ୍ଵତ ଦା ଶଶ୍ଵତ ଶମାଶ୍ରେ ଶତର୍ଜିନୀ, ଗାଲିଙ୍କବ୍ରଦି,  
ଶିରିଙ୍କ ଶଶ୍ଵତ ଶଶ୍ଵତ ମହିମାନ ମହିମାନ ମହିମାନ.




ვიშ, მკვირცხლმა დილამ ბუნების ქნარი  
როგორ წარმტაცათ ააწკრიალა,  
და ამ წკრიალში ისმის ნარნარი  
განახლების ხმა, სიცოცხლის ძალა.

დღეს აღარ ვიცი ვარამი, გლოვა,  
დღეს მავიწყდება სულ-ყველაფერი,  
დილის ალერსმა მომაჯალოვა,  
და მოხიბლული უხმოდა ვმღერი:

ლალო ბუნებავ, შენს შესატკბობათ  
თუმც დღეს არავის აღარ სცალია,  
დღეს კაცთა ძენი ურთი-ერთ შურით,  
ურთი-ერთ მტრობით, სისხლით მთვრალია,

მაგრამ მოვა დრო, და ჰარმონია,  
შენი მათ გულშიც დაისადგურებს,  
და მაშინ მოძმე თავისვე მოძმეს  
აღარ დაარბევს, გაანადგურებს.

ი. სიხარულიძე.



# ରାଜମୂଲ ଗୀତାତୀର୍ଥ ଶାଖାପରିବହନ

(ଦାଶାସରାଜୁଲ୍ଲି)

III



ଫାଟିଲଙ୍ଘା.

— ଏ କିମି ଶ୍ଵିଲେବି, ଗନ୍ଧିଲା. ଅମାଶ ଏମାତି କୈବିଦି ଓ  
ଅମାଶ ପାଦୁକା.

ତିର୍ଯ୍ୟକାତ କାଳୀ ଦ୍ୱାଦ୍ରତ କେଲି ଓ ମେର୍ଯ୍ୟ ବାଜି, ଓ ଗୁ-  
ନାଗରଦମ:

— ଏତି ଉପକ୍ଷା ସାକ୍ଷେପିବି ଦାରକ୍ଷ୍ଵା ନାତଲିବ ମାତମା.

ମେ ମେହାରାଜାତ ହାତିର୍ଥିବ ପାଦୁକାଶକ୍ରିନ, ମିନଦ୍ରଦା ମନ୍ଦିରର୍ଥ-  
ଦିନରେ, ମାରା ପାଦୁକି ମନୀଦ୍ରିଶ ଓ ହୃଦୟ ଶ୍ଵେତମହାକ୍ଷୁରିବ.

— ଏ ଶ୍ଵର ଗଲାବାଜନ!.. ଗାଉଢିରା କ୍ରେଶ ଓ ଲୋକ ମନଦ୍ରିନ-  
ଓ କ୍ରେମିକ୍ରେ.

— ଏତା, ରାମଦେବି ପମାଦ୍ଵିଲେବି ମନ୍ଦିରପାନ୍ଦୁ, ଏବଳା ଶ୍ଵେତିଲ୍ଲିବାତ  
ପିତାଦ୍ଵାରା ଦ୍ୱାରାଶେବିବ! ଅମାଶ ଗନ୍ଧିଲା କୈବିଦି. ମେରମେ ତିର୍ଯ୍ୟକାତ  
ଶାମାଚନ ଏକ ମୁଖ୍ୟା ଦ୍ୱାରାଶେବିବ ସାକ୍ଷେପିବି ଓ ହାତିର୍ଥିବ ସାକ୍ଷେପିବି.  
ଫିଲାନ୍ତ ବିଦେଶୀ ଶ୍ଵେତପାନ୍ଦୁ, ଶ୍ଵେତପର୍ବତର୍କାନ୍ତ ମାତ ମନୀଶବାନ ଦାମ-  
ହୃଦୟର ସାକ୍ଷେ. ହୃଦୟ ମେତ୍ରି ସିମରାପଥିବିତ ତବାଲ୍ପିବ ଦୀର୍ଘ ଦାର୍ଶକାର  
ଓ ଶ୍ଵେତ ମନ୍ଦିରିବ ଦାଶପର୍ବତର୍କାନ୍ତ, ତିର୍ଯ୍ୟକାତ ଦାର୍ଶକାରିବା ରାମାପ  
ଓ ଦାର୍ଶକାରିବ, ହୃଦୟ ରାମାପ ମନ୍ଦିରି ଫିଲାନ୍ତର୍କାନ୍ତ ଗାରତୀ-  
ଲୀବ ଶାରିବ ଗାଇପର୍ବତର୍କାନ୍ତ. ହୃଦୟ ତିର୍ଯ୍ୟକାତ ଦାର୍ଶକାରିବ



მომჩერებოდა. ფეხზე თითქმის ყველას ეცვა რაღაც, მარა წულა იყო თუ დაჯდანული ქალამანი ვერ გაარჩევდი. ტანზე ჭრელი დაძონძილი ფალას-ფულასი ეცვათ. სიბრალულით ამესო გული... მინდოდა ყველას მოვფერებოდი, ყველას მოვხვეოდა, მარა ვიდექი ხესავით და ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებდი. ამ დროს ეზოში შემოირბინა ჩემ ხელა ბიჭმა და დიდი მეშის ბურთი შემოიტანა. მისმა სიცოცხლით სავსე სახემ და კოხტა მიხვრა-მოხერამ ჩემში გამოიწვია უსაზღვრო სიხარული.

— ვის გინდათ ბურთი? — დაიძახა მან. ყველა ერთბაშათ წამოცვიდა და გაეფინენ მინდორზე.

— აქეთ, ლადო!..

— ჩემსკენ, ლადო!..

გაისმა ყოველ მხარეს ბავშების ხმა.

— აბა ვინ, ვისკენ იყოს? — თქვა ლადომ.

ყველანი გაჩერდენ და ერთმანეთს თვალი გადაავლეს.

— არჩევანი მე — ერთეულინა მე. — ამაყათ დაიძახა ლადომ. ერთეულინა კეკლულათ გადახტა და ამოუდგა გვერდში ლადოს.

— ვის გინდა არადანი? — იკითხა ისევ ლადომ.

ყველამ მე მომაცყრა თვალი, თითქოს ეს საპატიო ალაგი მე შეუოვნოდა. ოუმტა არ ვიცოდი რას ნიშნავდა სიტყვა არადანი, მაგრამ ისე მივხდი რომ ერთი ვინმე უნდა ამერჩია ჩემსკენ და მეც გაბედულათ დავიძახე — არადანი მე — ასმათი მე. სწრაფათ გაღმოცანულდა შავთვალა ცქრიალა ასმათი და ამომიდგა გვერდში. ის რვა წლის იქნებოდა. შეშინებულ შელის ნუკრივით იხდებოდა ხან ჩემსკენ და ხან იქით. თან ძველი კაბის კალთებს ისწორებდა. მე თვალი ავარიდე, რაღან შეენიშნე რცხვენოდა ჩემი. დავასრულეთ, არჩევანი და გავაჩალეთ ბურთაობა. აღმოსავლეთისკენ ჩემი ლელო იყო დანიშნული, დასავლეთისკენ მისი.

ბევრი ვიხტუნეთ, ბევრი ვაქიჩავეთ ერთმანეთი მარა ბოლოს მაინც ლადომ გაიტანა ლელო.

მოქანცული დავსხედით ისევ ცაცხვის ძირში. ჩემი მეტოვე დიდანს ყოყოჩინდა თუ როგორ მოიტაცა ბურთი. ის თავმომწონე ბიჭი იყო. ტანზე სუფთა ტილოს ბლუზა-შარ-

ვალი ეცვა და თავზე კავარდა მიკრული რუსული ქუდი ეხურა. ეს მისი მორთულობა ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთ სკოლის მოწაფე უნდა ყოფილიყო. ჩემი ფიქრები სრულიად გავართლდა. ის მართლაც აღმოჩნდა სახელოსნო სკოლის მოწაფე, სხვა ბავშვებიდან საკებით განირჩეოდა გამბედაობით და ბუნებრივი დაურცხვენელი ლაპარაკით. ის მომიახლოვდა და წყნარათ მითხრა:

— შენ, ძამია, სწავლობ საღმე?

— გიმნაზიაში.— მიუგე. — შენ?

მან თავი უკიძეულფილოთ გაიქნია და თვალები მოელრუბდა. სად ვიქნები? — პირმიბრუნებულმა ჩაილაპარაკა. მერმე მომიბრუნდა ისევ და ლიმილით მკითხა:

— იქნება კარგი წიგნები გაქეს წამოღებული?

მე მაშინვე გავექანე სახლისაკენ და დიდი ამბით გამოვიტანე უურნალები და სხვა სახელმძღვანელო წიგნები. ბავშებმა ცნობის-მოყვარეობით დაუწყეს წიგნებს თვალიერება... ზოგიერთმა მათგანმაც იცოდა კითხვა. ზოგი ადგილობრივ სკოლის მოწაფენი იყვნენ და მათვის. უკვე გაეცნო მასწავლებელს „ჯეჯილი“ და „ნაკალული“. ჭაბუკა არ ერეოდა ჩვენს ამბებში. ის გაბუტული იჯდა ცაცხვის აროხვილ ძირებზე და გამწყრალ ანგელოზივით იცქირებოდა. ავილე რამოდენიმე სურათი და მიუტანე. ჭაბუკა გამხიარულდა. იმ წამსვე გააფინა სურათები და დაუწყო თითებით თვალიერება. ჩვენ დიდხანს განვაგრძეთ ლექსების კითხვა. ერთი საათის განმავლობაში ორი ლექსი ისწავლა ასმათმა. ისე გრძნობიერათ კითხულობდა, რომ მსმენელი აღტაცებაში მოჰყავდა. ასმათმა სრულიად არ იცოდა ანგანი მარა სამაგალითო სწორი სიტკვის გამოთქმით სწავლობდა ჩემგან წაკითხულ ლექსებს, და მერმე ერთი ორათ იმეორებდა. თითოეულ ხელის გაშლაზე, ან ტანის რხევის დროს თავის დაფლეთილ კაბის კალთებს ფალის-ფულისს გააფრიალებდა, მარა ეს სრულებით არ აუშნოებდა მას. პირიქით უფრო იერს ფენდა მის შვლის ნუკრივით მოღერებულ ყელს და გიშრის ტბასავით მოელვარე თვალებს. საღამოს ბინდი რომ დაეცა, ბავშები დაიშალენ და თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდენ. ლადო კიდევ დიდხარს დარჩა ჩემთან, თან წიგნებს არჩევდა, თან მესაუბრევ

ბოდა სოფლის ცხოვრებაზე და ზემოვეულებაზე. წასვლის დროს ვთხოვე, მეორე დღეს კიდევ მოეყვანა ამხანაგები და მოსულიყო. მან გადაჭრით უარი მითხრა. სოფლის ბავშვებს ხაჭის დღეს არ სცალიანო.

#### IV

მეორე დილით ფანჯარაში გავიხედე და რაკი ისევ შშვენიერი კისკასი დღე იდგა, ისევ ადრე ავდექი. გავედი ეზოში, მერცხლების მომხიბლავი ჭიკუიკით და ფრინველთა დაუსრულებელი უივილ-ხივილი ამხიარულებდა მიდამოს. ზურმუხტ-ფეროვანი მდელო დამსხვრეულ ბროლივით ციმციმებდა ამომავალ მზის მოკამკამე სხივებზე გულ-გადაშლილი.

კესოს ძროხები მოწვეველა და საბალახოზე მიღენიდა.

— ასმათი არ ამდგარა? — ვკითხე.

— ასმათი წისქვილის ასაშვებათ წავიდა. ჩქარა მოვტრიალდი წისქვილისკენ გასაქცევათ, მარა კესომ შემაჩერა.

— წამოდი ჩემთან, ძროხას მივდენი ტყეში და შაშვის ბარტყი თუ ვნახე დაგიჭერ. სიხარულით აღფრთოვანებული ავედევნე კესოს და ორთავე წავედით ტყისაკენ. ბჭის კართან ასმათიც შემოგვხვდა. კიდევ უფრო ამიტოკდა სიხარულით გული. მეგონა ასმათიც ჩვენთან წამოვიდოდა. მაგრამ ჩემი სიხარული ამათ გამოდგა: კესო გაუწყრა ასმათს რათ დაივვიანეო და ეზოს დასაგველათ გაგზავნა. ასმითი კარგა ხანს იდგა ერთ ადგილას. ეტყობოდა იმასაც ძალიან უნდოდა ჩვენთან წმოსვლა. ბევრჯელ მოვხედე უკან, მეწყინა, გული დამიმძიმდა და ჩემს სიხარულს რაღაც შავი მანდილი შემოფარა. უსიტყვოთ გავიარეთ დაბურულ ტყის წვრილი ბილიკი და გევედით ტრიალს მინდორში, რომელსაც კესო სუფსის პირის მერეს ეძახდა. აუარებელი საქონელი მოფენოდა მინდორს. მათ შორის ძლიერ მომეწონა პატარა კვიცები. ისე დაკუნტრუშობდენ მინდორზე, რომ არ ვიცი როგორ ბედნიერათ ჩავსოვლიდი ჩემს თავს იმ წუთში რომ ერთი მათგანი ჩემი საკუთრება ყოფილიყო, წამომეყვანა სახლში. კესომ ნალვლიანთ გადახედა ფართე მინდორ ველს და მწარეთ ამოიკვნესა. მერმე მობრუნდა ჩემსკენ და დამაშტერდა. თითქოს უნდოდა მისი ამოკვნესის მიზეზი ჩემთვასაც გაეზიარებია.

— იცი, გოგილა — აკოტა სიჩუმის შემდევ მითხრა.



— სხვუმის ეს მინდვრები სულ ყანებათ იყო დათესილი. ამ დროს სიმინდს თოხავდენ და გაცხარებულ ნადურს მღვ-როდენ. აი, იქ, იმ ხის ძირთან ახლოს ჩვენი ყანა იყო. ზარ-შან ამ დროს იქ ასმათს სადილი მოჰქონდა მამა მისთან, მუ-შაობის დროს თავს აქცევიებდა ათასნაირ ამბებით. ხან თუ-თუნის ცეცხლს აუნთებდეა კვეს-აბედით, ხან სიცივიდან ცივ წყალს მოუტანდა და დალევის შემდეგ სახეზედაც მოუშებუ-ნებდა. ზამლობაზე მეც წამოვიდოდი. ზარმელს ჩამოვიტანდი. დაესხდებოდით ერთათ, თან ზარმელს შევექცეოდით, თან ვლაპარაკობდით კარგ-ავზე... უფრო კი ჩვენს მომავალზე. ვზრუნავდით შვილებისთვის და შევხაროდით იმათ აღზრდას. ასმათი ძლიერ უყვარდა მამას. ხშირად იტყოდა: სულ რომ ხელის გულზე ტყავი ივიძრო და ზურგზე ბოლი ვიდინო, ასმათი მაინც უნდა გავზარდო კლასშიო. განსვენებულს ნამე-ტანი მოსწონდა განათლებული ქალები, ხშირათ მომიყობოდა ქალაქის ამბებს.

— ქალაქის ამბები რა იკოდა?

— დაცოლშვილებამდი ის ქალაქში მუშაობდა როტშილ-დის „ზაოდში“. როცა ჩვენ შევულლდით, დაეთხოვა მუშაო-ბას და ოჯახს მოჰქიდა ხელი. მაგრამ ისევ ხშირათ მოიგო-ნებდა ქალაქს და იტყოდა: იქ სინათლეა — აქ კი სიბნელეა. თანაც დაუმატებდა. როცა შვილები მოიზრდებიან, ისევ ქა-ლაქში უნდა გადავსახლდე, თორემ სოფელში რა ხეირი და-ეყრება ბავშვებსაო. ოხ, რა ბეღინიერი ვიყავით, გოგილა, რო-დესაც ქალაქში გადასახლებაზე ვოუნებობდით და შვილების აღზრდაზე! ახლა რაღაა ჩვენი სიცოცხლე, ჩემო გოგილა, ჩემს შვილებს ყველაფერი მოესპო...

კესოს ცრემლები გაღმოსცვივდა თვალებიდან, ხელები ზევით ააპყრო და საშინელი მღელვარებით წარმოსთქვა: ღმერ-თი მოსპობს იმათ, ვისიც მიზეზით ასე განაღვურდა მთელი ქვეყანა. ამ ლაპარაქში კიდეც მიგაბწიეთ იმ ხესთან, რომე-ლიც ხუთი წუთის წინ თითოთ მიჩვენა. კესო დაღვრემილი მიეყრდნო ხეს და ისევ ნაღვლიანათ გადახედა ყოველ მხარეს.

— ღმერთო, ღმერთო, როდის დაგვიბრუნდება მშვიდო-ბიანი ცხოვრება?

— სხვებმა რატომ აღარ დათესეს წელს ეს ყანები?



— ვინ დათესდა, ჩემი კარგი! თუ ვინმე ახალგაზრდები იყვენ სოფელში, ყველა წაიყვანეს. და კიდევ მიწის პატრონებმა დიდი საყანული მოგვთხოვეს. მოსავალი ვინ იცის იქნება თუ არა.

— თუ მოსავალი არ იქნება, ალბათ საყანულსაც არ გადაიხდით!

— ამ პირობით არ დაგვათესიერენ. მათთვის სულ-ერთია მოვა მოსავალი თუ არა. საყანულს ფულათ გვთხოვენ რას დაგიდევენ ..

— ეს რა უსამართლობაა!. განცვიფრებულმა წამოვიძახე.

— ვინ ეძებს სამართალს. ყველა თავისთვის ზრუნავს, ერი თუ ბერი. სხვისი კუჭის ტკივილი სხვას რა ენაღვლება... ხელის ჩაქნევით ოქვა კესომ და გამობრუნდა შინისკენ. მე სრულიად გადამავიწყდა ჩიტების ძებნა. კესოს ცრემლიანმა თვალებმა და ცხოვრებისადმი საყველურმა მრავალი ახირებული ფიქრები დამიტრიალა თავში. ისევ გამოვიარეთ ტყის ბილიკი, არც კი შემიხედავს ჩიტებისთვის. თუმცა ყოველი ფეხის ნაბიჯზე მესმოდა მათი ჭიკჭიკი და ფრთების ფართხუნი. ეზოში რომ შევედით, კესო ფეხ აჩქარებით წავიდა სამხარეულოსკენ. დედა კიდევ არ ამდგარიყო. ბებიას წდაესვა თინა მუხლზე და კიბეზე ჩამომჯდარიყო.

— რატომ ამდგარხარ შეილო ასე ადრე?!.. მისაყველურა ბებიამ.

მე საჩქაროთ გავიარე აივანი და შევედი ოთხში. ამოვალაგე წიგნები, ავარჩიკ დედაენა და რამოდენიმე რვეული. გადავწყიორე ასმათისთვის წერა-კითხვა დამესწავლებინა და ჩემი უურნალებიც მისთვის მეჩუქებინა. როდესაც დედას გაუზიარე ჩემი გადაწყვეტილება, დედამ გამილიმა და ასე მითხა „კარგი ნასაქმობი არ დაგვეკარგებაო“ დედის ალერსმა ძლიერ გამათამამა. დავრწმუნდი მართლა დიდ საქმეს ვაკეთებდი. საუზმის შემდეგ გადაუშალე ასმათს დედა-ენა და დავაწყებინე ანბანის სწავლა. არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ შეხვე. ვოდა და ხელებს მიკოცნიდა, როცა გამოუტადე ასმათს კითხეა უნდა გასწავლო მეთქი. იმ დღიდან ყოველ დილით ვმაცა დინობდი ასმათან. სალამობით ლადოსთან დავდიოდი ყანაში და ვეხმარებოდი იმდენათ, რამდენადაც თავს ვირთობდი. ლა-

დღს უფროსი ძმაც ოში იყო გაწვეული. მთელი ოჯახი მის ანაბარას იყო, მაგრამ ყოჩალი, შრომის მოყვარე ლადო შაინც ასწრებდა ყოველ დღიური საქმის მოთავებას, და ერთ საათს დღეში ჩემთან ატარებდა. საღამოობით. ისე შემაჩვია ტყეებში, კლდეებში და ჰალებში სიარულს, რომ უკანასკნელ ხანებში სრულიად აღარ მეშინოდა მოწყენილ მყუდრო მიღამოების. ლადომ იკოდა ყოველი ხის ძირი, ყველა ჩიტის ბუდე, ბარტყები, მარა არასოდეს ხელს არ ახლებდა პაწაწინა ჩიტუნიების. მე ძალიან მიყვარდა ბარტყების ჰერა; ლადო ყოველთვის წამართმევდა, შამომავლებდა თავზე და გაუშვებდა. თან საშინელი ბრაზით დამიქაცყანებდა „რა უფლება გაქვს ლვთის გაჩენილ სულდგმულს სიცოცხლეს უსპობო“. მე ენასაც ვერ შეუბრუნებდი, რადგან ვიცოდი, ის მართალი იყო. მართლაც რა უფლება მქონდა დამემწყვდია და დამეხრჩი პაწაწინა ჩიტუნიები? მე ხომ არ მიმიცია მათთვის სიცოცხლე! მხოლოდ უკმაყოფილოთ შევხედავდი ლადოს. მეზარებოდა ის რომ ჰაკვანს დაიწყებდა. მზისგან გარუჯული სახე ცეცხლივით იენთებოდა, თვალები გადმოეკალებოდა და რაღაც ველურ არსებას დაემზაგესხოდა. ვინ იფიქრებდა იმ დროს მასში თუ რაიმე ადამიანური გრძნობა მოიპოვებოდა. მიუხედავათ ამისა მისი გრძნობა ქეშმარიტათ აღამიანური იყო.

## V

ასმათმა ძლიერ მაღე ისწავლა წერა-კითხვა. უკანასკნელ ხანებში ის თამამად კითხულობდა პატარა მოთხრობებს. კესო სიამოვნებით უსმენდა და სასოებით მლოცვავდა. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებმაც მოატანა. ლადო ჩემზე აღრე წავიდა სოფლიდან. მისი წასვლის შემდეგ ჰალებში აღარ წავსულვარ, არც ტყეში და არც ყანებში. მოწყენილი ვიჯექი და სულ ვეველრებოდი დედას ჩქარა წამოვსულიყავით ქალაქში. ჩვენი წამოსვლის დღემაც მოაწია. როცა მეურმემ ბარგი გადმოაწყო ურემზე, კესომ გაიხმო დედა ჩემი და ცრემლებით შეეველრა: ჩემი საცოდავი შვილების მაღლიზა მიშოვნე რამე ადგილი ქალაქშიო. დედა მოსამსახურის ადგილის შონგას დაპირდა, მარა კესომ გადაჭრით უარი განაცხადა მოსამსახურის ადგილზე. დილით საღამომდის ვიმუშავებ, მხოლოდ საღამოს ჩემს ნებაზე უნდა მევისვენო და ბატონის ბრძანების ქვეშ ყოფნა არ შემი-

ძლიაო. დედაც დაპირდა, გამოვებნი რამესო. ბებიას ბებიაშვილი რამდენიმე წელი მოვიტოვდა და ურემი დაიძრა, უცებ იფეთქა ჩემს ძარღვებში რაღამაც... ოვალები ცრემლებით ამევსო. მაშინ ვიგრძენი რომ დიდიხნით ვტოვებდი სოფლის შევენიერ ფერადოვან ბუნებას; თან გულს მიკლავდა ასმათის მოწყენილი წვალები, ბებია ჩემის კრუსუნი და კესოს ცრემლები. განა ადვილია ორსამ თვეს ხალხთან გაატარებ და მერმე უცებ დაშორდები! ლადო ხომ სიზმარივით დარჩება ჩემს მეხსიერებაში. არავისთან არ განმიცდია ისეთი ამხანაგური გრძნობა, როგორც ლადოსთან...

გოგილამ დაასრულა ზაფხულის ამბები და ცნობის მოყვარეობით გადახედა მის პირველყოფილ მასწავლებელს, რომელიც ხშირად ნახულობდა გას და მამაშვილურად ესაუბრებოდა ამ ცხოვრების სიავ-კარგებე.

უკანასკნელს მოხრილ წარბებს ქვეშ მოსხო თვალები სრულიად ჩაღრმავებოდა და სახე გაფითრებოდა. ჭალარა თმა ყალყებ შესდგომოდა, ეტყობოდა ის ამ წუთში სავსებით შეეჯაჭვა შორეულ ამბებს.

გოგილა მოუთმენლად მოელოდა მისგან რაიმე სიტყვას მისი ნამბობის შესხებ, მაგრამ ამათ, ის ისევ სდუმდა.

ყრაწვილმა ველარ მოითმინა ეს მისი ღუმილი და უნებლიერ, თავის დამოუკიდებლათ წარმოიძახა:

— მე როცა სასწავლებელს გავათავებ უთუოდ სოფლის მასწავლებლათ წავალ... მასწავლებელი უცებ გამოერკვა ფიქრიდან და ღიმილით წარმოსთქვა:

— ძლიერ კარგი აზრია... სანათი იქ უნდა აანთო, სადაც საჭიროა...

ოთხში ისევ ღუმილი ჩამოვარდა. მოწაფე და მასწავლებელი დიდხანს შესცემოდენ ერთმანეთს უსიტყვოთ. ლაფანჯრიდან ნელ-ნელა უბერავდა ღამის სიო, და მსუბუქ ფრთებს ფრთხილათ უფათურებდა ორთავეს ტუჩებზე, თითქოს ორთავეს სტაცებდა გულის ფიქრებს და ერთმანეთზე გადახლართულს სწრაფად მიაქროლებდა ზევით მოკამკამე მთვარისკენ, რომელიც შშობლიური ალერსით დაჰყურებდა შორიდან იმათ ფიქრით მოცულ მდუმარე სახეს.

მიმქრალი.

## გაფის ცრევლები.



მ დროს, როდესაც მიჩუმებულ ჭალაში აქა ოქ შერ-  
ჩენილი ფოთლები უკანასკნელ ჰიმნსა თხზვდენ და  
ჰიმნთან ერთად კენწეროებზე მწარედ ცეკავდენ,  
პაწია მგზავრმა მთის გაღმოლმა გადმოუხვია, ბილიკს  
გამოჰყენა და ჭალისაკენ გამოეშურა.

თეორ ქათიბში გამოხვეულს,  
ზურგზე გუდა წამოეკიდა, ხელ-  
ში ყავარჯენი დაეჭირა და ყუ-  
რებ აცქვეტილი დაბლა ჭალი-  
საკენ სწრაფად მოაბიჭებდა.

— თითქოს გზას მივდევ,  
მაგრამ რა მომდის... ვეღარა  
ვცნობ, ნუ თუ ეს არის?!. წარ-  
მოსთქვა იმან, როცა ლელე გა-  
მოიარა, შემდეგ მაღლობზე კუ-  
ნელის ჯავთან შეჩერდა, მო-  
ქანცული ყავარჯენს დაეყუ-  
და და აქეთ-იქით მიმოიხედა.

ჭალა მართლა სულ მთლად  
გამოცვლილიყო: გაზაფხულზე უცხოდ მოხმაურს, ათასი ხე-  
ბის შემთხველს, ახლა მწუხარებავით ფერი წასვლოდა და  
უცნაურათ სდემდა. მაგრამ ზოგჯერ კი მის სილრმიდან ყრუ  
გუგუნივით რალაც ხმა მოისმოდა და ის წამი იყო, როდესაც  
ახლო-მახლო ბუჩქები შეშფოთებულივით წრიპინებდენ და ისევ  
მალე ყრუვდებოდენ. ხან იმ უცნაურ დუმილის დროს კენწე-  
როდან უცებ ფოთოლი მოსწყდებოდა, საღმე ოდნავ დაიჩურ-  
ჩულებდა და სულს განაბავდა.

ერთი სიტყვით ის არე-მარე შემოდგომის უამს ობოლ-  
ოხერს წააგვდა. ცოცხალი არსება არსადა სჩანდა, მხოლოდ  
ერთ ალაგის იფნის ტოტზე თოკივით გაბმულ სვიაზე აბუზუ-



ლი ნიბლია შემჯდარიყო და ისიც მწარედ დაფიქრებული უნდა იყოს კანაობდა.

კურდლელი იქეთ-იქით აშტერდებოდა, თითქოს სკნობდა, მაგრამ იმავ დროს გულსა და თვალს არ უჯერებდა. ბოლოს წყალ გაღმა მხარ-თემოზედ მიწოლილ ბებერ ნერგს რომ თვალი მოჰკრა - უცებ კუვლაფერი გაახსენდა და გული უფრო სევდით აევსო. იმან შებლზე ხელი ჩამოიფარა და აცრემლებული თვალებით ძლივს წარმოსთქვა:

— ჰო, ის არის, ის... ჩემი სამშობლო, ჩემი ძვირფასი მიდამო... აგერ კვრინჩის ბუჩქიც, შინდი და თხილი მეგობარსავით ერთმანეთს რომ გადახვევიან, აგერ წიფელიც.

იქ დავიბადე, იქ ამებილა თვალები; მზის მშვენიერმა სხივებმა პირველათ იქ შემომცინეს, ცის ლურჯმა სილრმემ პირველათ იქ გამაოცა; აგერ, იქ, ქოლგასავით გაშლილ ხის ქვეშ, განვიცადე პირველი ჩემი სიხარული და განცვიფრება, როდესაც სიოს დაბერვაზე ფოთოლთ ჩურჩული და მათი ცეკვა რომ შევამჩნიო. აგერ ქვემოთ ის ტოტიც... ისევ წყალს ეალერსება, ხან სარეს მსგავს ლამაზ სახეს უკოცნის, თან მის ტალღებს ისე ჩაჰუცება, თითქოს ისიც მასთან ერთად შორს, სივრცისკენ ესწრაფება, ხან ზევით თამაშობით ამოხტება და მუდამ ასე ეალერსება, რაღვან უყვარს, ალბად ძლიერ უყვარს მოჩუხებუხე, ტკბილი მოზღაპრე ანკარა; მაგრამ მაშ ვის, თუ მაგას არ უნდა უყვარდეს ეს არე-მარე, რაღვან თითონ ყველასაგან საყვარელია. მზე მუდამ მისთვის მოლხენილია, ქვეწის ამბავიც წყლის ტალღებიდან შეუძენია; გაზაფხულზე ია უწინ მაგას უკმევს სურნელებას, სოსანთა ჯარი გარშემო დარაჯებათ მას უყვინია; ნაზი ხვართქლა უწინ მის კენწეროებს შემოეხვევა და თავისი სინაზით მეტად უმშვენებს იმას მწვანე კალთებს... მას უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო, ნათესაობა, მზეცა და მთვარეც... მაგრამ მე... მე რაღად მიყვარს, ესე ძლიერ რად ვიტანჯები, ამ არე-მარეს მოშორებული, როცა სამუდამო სიმწარე აქ გამოვცადე? რად უნდა მიყვარდეს, რად, იმ დღის შემდეგ?.. ძლივს და წარმოსთქვა კურდლელმა, და ამოდულდა. ცოტა ხანს ასე იტირა, შემდეგ მრავალ-ძარღუ ვას ფოთოლით თვალები მოიწმინდა და ისევ ჩუმათ განაგრძო:

— პირველათ კი შორს გავიქეცი, შევაჩვენე აქაურობა,



გაჩენის დღენი დავიწყევლე და დავიკრულე, მაგრამ უცხო  
მხარეს რომ ვერ შევეთვისე? ბევრი თავში ვიცე, მაგრამ ვერ  
გავძელ, გიუვით გამოცემურე, მინდოდა ერთხელ კიდევ შო  
რიდან თვალი მომეკრა და ისევ წავალ, შორს, შორს უგზო  
უკვალოთ გადვიკარგები... არასოდეს აღარ ვიხილავ და არც  
თვალით დავენახვები ჩემს მიდამოს, ჩემს სამშობლო არე-მარეს.  
იმიტომ რომ ლირსი არ არის, ლირსი არ არის, რომ ესე ძლიერ  
მიყვარდეს, რადგან ასე მომატყუა და სამუდამოთ ასე ულვთოთ  
გამამწარა. ჯერ სიცოცხლე, ისე დიად ბედნიერებათ მომა-  
ლანდა და ჩემი უაღრესი ბედნიერება სამუდამო ტანჯვათ და  
შიშად გარდამიქცია.

აგერ ის ბუჩქი, ის ხეც ისე წამოკუზული...

იქ, იყო, რომ დედაჩემი მზის სხივებზე რაღაც ზღაპრებს  
გვიამბობდა, მწვანით შემოსილ არე-მარეს, მის სილამაზეს და  
მშვენიერებას მზის ძლირებას აწერდა და თან ლხენით გვარწ-  
მუნებდა, რომ ყველანი მისი შვილები ვართ, რომ მას უყვარ-  
ვართ და სიცოცხლე და სიხარული მისთვის მოვცაო. ბევრი  
რამ არა შესმოდა რა, მაგრამ მხიარულ დედას რომ უცქე-  
როდი, იმის აღერსს რომ ყურს უგდებდი და გარემო მშვენი-  
ერებას ვხედავდი, ისეთ სიხარულს განვიცდიდი და ისე ვიყავ  
ბედნიერი, რომ მეც ძლიერ მინდოდა ისეთი ლოცვა მემღერა,  
როგორც იმ წამს გარშემო ყველა მღეროდა—ბალახი, ფოთლე-  
ბი და პატარა ბელურები, სუყველა იმ წამს ძლიერ მიყვარდა და  
ყველა ჩემი მეგონა...აღარ ვიცოდი რა მეოქვა, აღარ ვიცოდი  
სიყვარული ყველისათვის ისე ძლიერ როგორ მეგრძნობინებინა,  
როგორც იმ წამს მე განვიცდიდი და სწორედ ის იყო მიზეზი,  
რომ იმ წამს ერთ ალაგას ვერ ვისვენებდი; ხან პეპელისაკენ გავ-  
ქანდებოდი, როცა ის ალისფერ კაბით გამოჭიმული იქვე შროშა-  
ნას სტუმრათ ეწვეოდა, ხან ბუერას ფოთოლზე მოციმციმე ცვარს  
ვეთამაშებოდი, ხან წყალში ჩაშუქებულ მზეს ვეალერსებოდი  
და კოცნიდი, ხან ისევ დედასთან მივირბენდი, რომ ქვეყნის  
მშვენიერებაზე ერთი ზღაპარი კიდევ ვთქვა, მაგრამ სწორეთ  
იმ უამს, როდესაც ის ხის ძირს ცალი ხელით პირს იბანდა  
და ცალი ხელით მზეზედ მიჩენებდა და მეუბნებოდა, რომ  
მზე მუდამ ასე მხიარული და მოსიყვარულე იქნებაო—უცებ  
რაღამაც იქვე, დედა ბუჩქებისაკენ გადმოვარდა და მისი თე-  
თრი ქათიბი წითლათ შეიღება. ის ლა მახსოვს, რომ მის ლა-

გაზ სახეს უცებ რაღაც მოუვიდა და საშინელებათ შეიცვალა. ერთი თვალი გაუდიდდა და გამოუცდელმა რომ ჩავხედე, შიგ გამოსახულ მზესთან ერთად რაღაც შავ-ბნელი ვინილე და ჩემი უბედურებაც იქიდან ამოვიკითხე, შორით გამორთხალმა შემდეგ საღამოზე ვონება ძლიეს მოვიკრიფე და გამორკვეულმა უცხო ადგილას აქეთ-იქით რომ მივიხედე — ისეთი ნარტოობა და შიში ვიგრძენ, რომ თავში უცებ რაღაცა დამეწვა. ისევ ჩავვეკ, თვალი დავწუპე და უცრად მოლიმარი დედა-ჩემი დავინახე. ხელი წავატანე, დედა-მეთქი, მე სულელმა გიურვით წამოვიძახე, მაგრამ თვალი ისევ რომ გავახილე, ისეთი ძლიერი შიში განვიცადე, რომ ისევ დედის სახელს მივმართე. მაგრამ მარტოდ-მარტო გზა აბნეულს შორიდან მხოლოდ ფოთლები გამომეხმაურენ.

შემდეგ წყლის ჩუხხეუბი შემოშესმა და თითქოს იმან გამხნევა, დაბლა, დაბლა ჩამოვედი, თრიმლს გავყე და ნაცნობ ადგილას, რომ მიუახლოვდი მე უგნურმა დედას ისე ჩუმათ გავძახე. არა მჯეროდა და ან რა ვიცოდი ყოველივე ის რას მოასწავებდა. მაგრამ როდესაც შიშისაგან სულ შეხუთულმა დედას კიდევ ჩუმათ გავძახე, არა მჯეროდა და ან რა ვიცოდი ყოველივე ის რას მოასწავებდა. მაგრამ როდესაც შიშისაგან სულ შეხუთულმა დედას კიდევ გავსძახე და სიბნელეში რაღაც ბოროტი და საშინელი სიჩუმე ვიგრძენ — ყოველი ბეწეო ყალყზე დამიდგა, ყელში რაღაც მომებჯინა და მაშინ კი ტირილი დავიწყე. არ ვიცი რამდენსანსა ვტიროდი, ვიცი მხოლოდ ის, რომ გული მაინც არ მიჯერებდა, და ამისათვის წყლის ნაპირას ბუჩქებს კიდევ მიუახლოვდი და ძებნას მოვყე. გამწარებული ყოველ ბუჩქ ქვეშ ვიხედებოდი და ჩუმათ ტირილით დედას ვუხმობდი. მაგრამ როდესაც ერთ ადგილას მთვარის შუჭზე მხოლოდ პაჭია სველი ადგილი დავინახე — ყველაფერი მოეგაზრე და გავიგე. თან ისეთმა შიშმა ამიტაცა, რომ თვით ჩემი ჩრდილი მტრად მომელანდა... იქაურობა ისე შემძულდა, რომ წყევლა-კრულვით სამუდამოთ მივატოვე.

მას შემდეგ დაეძრწივარ ქვეყნად, ალარაფერი არა მჯერა, არა მიყვარს რა და თვით ჩემი თავი ჭირივითა მძაგს.

ზოგჯერ კი, როცა სიჩმარში ჩემს არე-მარეს და დედა-



ի՞մ և զեղաց տուշյո ուսց վասեանակրգեցի, ցուլո օթցց նոնակցուց լուտ մըցեցի, վարչան ուսց մլոյր մոպարս և սյուլո օմոտ մոտեցի, մացրամ գամոմելուօդեցի ու առ ջռջառետուր Ծանչ- ցաս ցանցուցի; վրուր, տաց ցոյլամ Ծորոլուտ և Շեմցը հռմ դաշուղալուցի պայլացյերո ուսց մբրատ մելանցը և մե- նոնան, մլոյր մընոնան...

Օմ գլց պահ Ծպյան երթուալու դրու հորցուց վայշ ճալլուու հռմ համոնցնուա; Եցր ու ծյիշի և յս արց-մարց պահ սոներմատ ուսց պահթլատ և ուսցու տալ-Ծարմթաւ սանոտ մոմցլոնցա, հռմ ցուլմա սոներուուուտ ժցրա դամիշյու և զո- ւց գամոմելուուս, ցուլնո ուսցու սոտեա զոցրմցն, տան Շենո նախց ուսց մլոյր մոմիշյուրու, հռմ զելար ցացել, զեր մո- ցուումոնց և ցածա վայշուուր Շենո ցիս-կալո ուսց մոմցեցնա .. ուշմւա Շեցիշյեն, ցուլու դացիշյուը. մացրամ առ, եցաց, ուսց մոցել, մոցել հռմ յրտել կուց դացունանա և ուսց Ծայալ... մոցել դուցա-մոիշու Շեմոցուուու, ոյնց զոնմց մոմաե- ցուուու և մասիշացլու յսց պահցլուր հաճ Շեցիշյեն, զու հաւ պահց հռմ, հռմ պայլացրուս ուսց մլոյր մընոնան?!

Օն դուցա-հեմո, ի՞մ օսպարշու, պայտունարո դուցա հուստցու մոմցյուց, հաճ դամուածլուց?!. օմաս եռմ տացու գլց առա- ցուստցու ցնցի առ մուրունու; օմաս մուցու վարչան, միշ, ցար- սկացլուցի, լամանի պացունու, մորացրակց Ծյարու և յս ծյի- շիցի ուսց պահու, ուսց մլոյր պահուու մատու մեցրա և սա- մացուրու ուսց պահուու կո մոմցյուց. յրտու մոտեար, մունասից: զու հա դաշնաց, զու հա մուշեար, զու հա Շեպյամա, հռմ ուսց ցացա պահցլուրց?!

Ամցենո եանո դաշուղար, ամցենո եանո դաշուղերցի, պայ- լուս ամասա զուուեաց, մացրամ առացու կո նասուես առ մածլցը.

ուշմւա կո զոն հաս մերպյուս, զոն հաս ամունուս, հռուց- սաւ պահ վարչան գամովկուուու ոյնաւ մրացալչյեր ցեցցի ամ ցար պահցլուրցիս; մրացալչյեր մըսմուս նեցու կանցս և հո- վուու.

Օմ գլց պահ Ծպյան երթուալու դրու ուսցու պահու Շեցիշյեն, հռմ կոնալու ծոլմամ դամաերիո. ու ոյու Ծորոլու պնձա դամիշյու, հռմ վուուուս եօւամ ցուլմակուու մոտեմա Շե- մոմցմա և մալո պահցլուրատ եմա ցացունց և պահուր դաշուց.



საწყალი გვრიტი თავ-პირს ითქვეფამდა და მწარეთ მოსიმულითი თქვემდა:

— ძერამ ღიღველი ბარტყები მომტაცა, ჩემი საბრალო პაწია შეიღების უმანკო სისხლით ნისკარტი შეიღება და ჩემი ცოდო დაიღოვო. ვამე გულ-მუცელი მეწვის სიმწარით, მი-უველეთ რამე, თქვენი ჭირიმეთო...

მე გულმა ვერ მომითმინა, ბუჩქიდან თავი გამოვყავ და ზემოთ შევიხედე, რომ ჩემნაირ ცეცხლით გამწარებულ გლოვიარეთვის თვალი მომეკრა, მაგრამ ამ ღრის რაღაც სევდასაეით დიდმა შავმა ფრინველმა საიდანდაც წამოუარა და მებივით თავზე დაეცა. გვრიტმა მოასწრო გამოსხლტომა, ფრინველიც ფრთხების ტყლაშუნით შურდილივით უკან დაედევნა; გვრიტი მაღლა-მაღლა მიფრინავდა, მტერი კი სულ გარს უვლიდა და ცდილობდა წინ როგორმე გაესწრო და შემდეგ ზემოდან მონალევრეული ზვავივით ქვეშ მოეტანა. მაგრამ ისედაც სუსტი და მერე მწუხარებისგან მოღლილი გვრიტი განა თავის დაცას დიდხანს შესძლებდა? მიუხელოვდებოდა მტერი თუ არა, საბრალო მსხვერპლი ერთს გულ საკლავათ დაიყივლებდა და უკანასკნელი ძალ ღონით ზემოდ რომ აუსხლტებოდა, ის დაწყევლილი და სისხლის მსმელი, ფრთხებს უფრო მძლავრათ დაიქნევდა და როგორც კარგი მაცეკვავე გარს ისე შემოურბენდა. გვრიტი მაღლე დაიღალა, დაბლა დაეშვა, დანგრეულ კაშკისკენ თავ შესაფარათ დაეშვა და მტერსაც სწორედ ეს უნდოდა: ერთი კი ისარივით წამოვიდა და ზურგზე რომ პრეკალები ჩაუჭირა, საბრალო გვრიტის ბუმბულმა ჰაერში აქეთ-იქით ფრიალი დაიწყო. საშინელი გმინვა-ჭყივილი გაისამა ლურჯ და ღრმა ცის კამარაში. მე ისე ძლიერ შემეზარა, რომ ყურებზე ხელი დავიცე და იქვე ხშირ ბუჩქს შევეფარე, რომ საზარელი სურათისთვის თვალი ამერილებინა, მაგრამ მე უბედური იქ უფრო საშინელ სანახაობას წავაწყდი: იმ შეჩენებულ, ჩემი კარის მეხობელ თრითინას საღლაც მწყრის ბარტყი დაეჭირა და მიყუდრებულ იდგილას ისეთს ახრამუნებდა, რომ კინაღამ ჭეკუაზე შევცდი. აბა იქ რაღა დამაყენებდა, ზარ დაცემული თავ-პირის მტკრევით იმ ადგილას გამოვეძეცი და წყაროს პირად ჩემსავით ობოლ ზამბახთან გავქანდი. იმ უცხო ადგილას ის ერთად ერთი კუთხე მეგულებოდა,



ଶାଦାପ ଶିଳ୍ପିଲ୍ଲିତ ଦାଲ୍ଲିଲ୍ଲି ଗୁଲ୍ଲି ପ୍ରମୁଖ ନନ୍ଦାଙ୍କ ପିଥିଶ୍ଵାଦେଶ୍ମଣ୍ଡିଲ୍  
ମୋହିରମାଲ୍ଲିଦିତ ତାଙ୍କ ହାଲୁନ୍ଦୁଲ୍ଲି ଶାମଦାଶି ପିଶତି ଲାମାଶି ନ୍ୟୁ,  
ରହମ ମମିଲ ମିଶେରା ରାଲାପ ଶ୍ରେଣ୍ଡାତିଲ ମଦଲ୍ଲେଶ୍ଵଦା. ମେତ୍ରାଦର୍କ୍ଷ, ରନ୍ଧା  
ମେ ଗୁଲ୍ଲ ଅମନମଜିଲାରି ପ୍ରତିରିପିଲି କି କି ନାହାତ ଏହେଶ୍ଵଦା ତାଙ୍କ,  
ତିତକ୍ଷଳ ମେ ତାନାଗରକନ୍ଦାଳା ମିନ୍ଦାତ୍ରାଶ୍ଵଦା ଲା ମମାଙ୍କ ଦରକାଳ ସିର୍ବ୍ରାତା  
ପ୍ରାତିଶ୍ଵରିଲ ତକ୍ଷମାଳ କି କ୍ଷେତ୍ର ମିଦେଶ୍ଵଦା. ମେ ମି ତ୍ରାମି ମି ଅଙ୍ଗିଲାଳ ମିଗା-  
ଶ୍ଵର୍ଣ୍ଣ, ମାଗରାମ ଏହି ପ୍ରତିରିପିଲା ପ୍ରେଦଶ୍ଵ ଦାବାଶ୍ଵେଶ୍ଵଲିତା ଅମଦାଙ୍ଗ  
—ଏହି ଶ୍ରୀଲ ଦମଲାଳ ମନମେଳନ.

ମି ଲ୍ଲେବ ଶାମଦାଶିଲ ଗୁଲ୍ଲିପିତାଦି ମେଜିଲାରି, ମନ୍ତ୍ରେଲ ଶ୍ରୀଶିଳ  
ନନ୍ଦାରନାରିତା ଲା ସିଲାମାଶିତ ଗାନ୍ତକ୍ଷମିଲା କ୍ଷେତ୍ରିଲା ଶ୍ରୀମହାତ  
ଶ୍ରୀଶ୍ଵରଦା ଲା ମି ତ୍ରାମି, ରନ୍ଧା କି ଶାଵେରିଲିଲ ମିଶ୍ବାଙ୍କ ଫରିତେବିଲ  
ନନ୍ଦାଙ୍କ ତରିତାଲିତ ରାଲାପ ଅମଦାଙ୍କ ପ୍ରମଦନଦା, ଗୁଲ୍ଲ ଗାନ୍ଧିତକ୍ଷି-  
ଲି ମେପ ତାଙ୍କେ ତ୍ରାଵାଶ୍ଵେଜି, ମାଗରାମ ସାନାମ ସିର୍ବ୍ରାତା ତକ୍ଷମାଳ ମନ୍ଦା-  
ଶ୍ଵର୍ଣ୍ଣେଶ୍ଵଦିଲ—ପ୍ରତିରିପିଲ ପ୍ରାତିଶ୍ଵର ଗୁଲ୍ଲା କ୍ଷେତ୍ରିନନ୍ଦାମ ତ୍ରାମନ୍ଦିଶ୍ଵରିଲା, ନେମ-  
ଶ୍ଵରିତ ତ୍ରାତ୍ତ୍ଵେଶ୍ଵରିଲି ନିଶାରତ୍ରି ତ୍ରାକ୍ଷରା. ଶାମଦାଶି କିଶେରି ତ୍ରାତ୍ତ୍ଵେଶ୍ଵର  
ତା ଲା କ୍ଷେତ୍ରିଲାଳ ଯରି ତ୍ରାମି ପ୍ରାପାନ୍ତିନ ଗାନ୍ଧିନା. ରନ୍ଧାରିଲ କଲାପ  
ଯରି ଅଙ୍ଗିଲାଳ କି କି କାପିଶ୍ଵଦିଲ.... ଲା ଏ ମୁଦାମ ଆମି କ୍ଷେତ୍ରିନ  
ମୁଦାମ ଏହି ପ୍ରାତିଶ୍ଵରିଦି. ଶ୍ରେନ୍ଦାନ ଶ୍ରେଷ୍ଠିନ୍ଦିଶ୍ଵରିଲା, ହେମ ଲାମାଶି  
ଏହ୍ୟ-ମାର୍ଯ୍ୟ, ଶରଳ ଶାଶ୍ଵକ୍ଷେପି, ମନ୍ତ୍ରେଲ କ୍ଷେତ୍ରିନାଳ ପ୍ରେକ୍ଷ-କ୍ଷେତ୍ର ମନ୍ଦରେ,  
ମିନଦରା ଶ୍ରେନ୍ଦାନ ପ୍ରକ୍ରିଯା ମେଶତ୍ରାଲା, ମାଗରାମ ପ୍ରକ୍ରିଯାନ ପ୍ରାର୍ଥିନାଳ  
ପିନିଲେ... ଲା ମେଶିନିନା, ଲୋଇର ମେଶିନିନା..... ଏହା ଶ୍ରେମନିଶ୍ଵେଦେ,  
କ୍ଷେତ୍ରି ପ୍ରେଦଶ୍ଵରି ଗାନା କିଲେବ ଏହିମେ?

ମେ ଲା ଲ୍ଲେବାକ୍ଷିମି ଶ୍ରେନ୍ କାମ ଲୋଇର ପ୍ରକିଳିତାରିଲି, ଶ୍ରେନ୍ ଏହ୍ୟ-  
ମାର୍ଯ୍ୟ, ଶ୍ରେନ୍ କାଲିତେବି କାମ ଶିବାରିନ୍ଦୁଲା ଶିଦାଦାଶ୍ଵନ୍ଦନ ହେବିଶି ଲା  
ମିତବାରି, ମିକାଶୁକ୍ର ଶ୍ରେନ୍ଦାନ୍ଦ୍ର ଶିଦିଲିଲ ଶ୍ରେଲିତିବିତେବି ରାତ ଶ୍ରେ-  
ଶ୍ଵରିଲା ହେବିନି ପ୍ରମୁଖ-ନନ୍ଦାଙ୍କ ପ୍ରେଦଶ୍ଵନି ପ୍ରେଦଶ୍ଵନିକା?

ଏହି ଏହି ମିତବାରି, ଏହି ମିତବାରି ଶ୍ରେମନିଶ୍ଵେଦେଶ୍ଵନ୍ଦ୍ର ଶ୍ରେମନିଶ୍ଵେଦେଶ୍ଵନ୍ଦ୍ର—କ୍ଷେତ୍ରିନାଳ ଗାନା  
ମିତବାରିଲ ଗ୍ରାହିନ୍ଦି, ଗୁଲ୍ଲିଶି ଶିକ୍ଷାରିନ୍ଦୁଲା ମିତବାରିଲ ଗ୍ରିନ୍ଦେଶ୍ଵରିଗାଙ୍କ,  
ରହମ ଯରିତୀ-ଯରିତମାନ୍ତିଲି ମତିରିଲା ଲା ଶିବିଲାଲ ପିନିଲିତ ଲା ଏହି  
ପ୍ରାତିଶ୍ଵରିଦିଲେ??!

ମାଗରାମ ମେ ଏହାକ ଦରକାଳ ଏହି ଦାଵିଜ୍ଞାରେଦ.... ଏହି ଶାମିଶ୍ଵ ଗୁଲ୍ଲି  
ଏହି ମିଜ୍ଞାରେଦି ଲା ଏହି ଲୋଇର ମିତବାରିଲ ପ୍ରାତିଶ୍ଵରିଦି...

ଏହା, ମେ କିମ୍ବା ତ୍ରାଵାଲ, ମନ୍ତ୍ରେଲ କ୍ଷେତ୍ରିନାଳ କିଲେବ ମନ୍ଦିଶ୍ଵରିଲା,  
ଶ୍ରେଲାଳ ପ୍ରକ୍ରିଯାନ ପ୍ରକ୍ରିଯାନ ମିଶିନ ଶ୍ରେନ୍ଦାନ ଶ୍ରେନ୍ଦାନ  
ମନ୍ଦିଶ୍ଵରିଦି ପିନିଲା ଲା ପ୍ରେଦଶ୍ଵରି... ଏହି ଏହି ମିନଦା ଶିବିଲା

ဗျာ, တော်မာရ်တဲ့ ဒါ ကျော်လျှော်ပါ... မြောက်လောင်းတော် ဟိမ် လာမာနဲ့  
မဖြော်မြှော်လော်, ဟိမ် စာမျက်လော် အား-မာရ်သူ, မြတ်မြတ်တွေ့သူ မြော-  
လောင် ကျော်လော်လော်မာ, ဗျာနာကျော်လော် ဂုဏ်ဆောင် ဖိုလ်သူ မြှော်လော်  
မြောနာဘွဲ့ ပြောပါ ဒာနဲ့ လောင်းတော် ဟိမ် မြတ်မြတ်လော်လော်.

ကျော်မြတ်တော် ဒာနဲ့ လောင်းတော် ဟိမ် မြတ်မြတ်လော်လော် ဒာနဲ့ လောင်းတော် ဟိမ် မြတ်မြတ်လော်လော်.

ပျော်ရွှေစွဲ.



፩፻፭፻

კარლ ევალდისა.

(ପ୍ରକାଶକ ଗୁଡ଼ିକ)



ოველი კუთხე მწერალებას განიცდიდა:  
კალიამ ააწიოკა მიღამოები.

პეტლები ბუზები და ფუტკრები იღუპებოდენ, რადგან განადგურდა მათი მასაზრდოებელი ფოთლები.

ისოცებოდენ ჩიტუნიებიც, რაღაც თავისი თავის და  
ბარტყების გამოსაკვებათ მწერს კვლარ პოულობდენ.

ახალგაზრდა კალია-კი სულ წინ, წინ მიისწრაფოდა.

ლამე იყო, როცა კალიები ერთს ლეთისაგან განწირებულ მინდოორს შეესიენ. მიწა დარიჩინის ფერ ნოს დაემსგავსა.

— ახლავე გავსკდები! — იყვირა ერთმა პატია კალიაშ.

— ამლავე გავსკდებით, გავსკდებით, გავსკდებით! იგრი-  
ალა სხვამაცა.

და უცებ მინდორში ოქაცა-ტკუცი ზეიქნა. კალიები სკვებოდენ. საკვირველიც არ იყო. ისინი ისე გაიბრენ და გასივდენ, რომ კანი მათთვის ვიწრო იყო. მოწვებოდა თუ არა ახალი კანი ძველის, ეს უკანასკნელი უმაღლე იხლიჩებოდა და მზის სინათლეზე ახალ-კანიანი კალიები ხტოდენ, უნდა გენახათ მეორე დღეს, როცა კალიაშ ადგილი იყვალა, რო-

გორ იყო მინდორი ძველი კანით მოფენილი. ხუთჯერ გამოიცალს კანი, ხუთჯერ გასკდენ და ყოველ გასკდომაზე სიმსუქნე და სიდიდე ემატებოდათ.

პატი კი მათი ძახილით გამოყრიუებული იყო. სულ ამას ჩიოდენ: საჭმელი არა გვაქვს, შიმშილით ვიხოცებითო.

აფრიკიდან ჩრდილოეთისკენ მწვანე ქვეყნებს განსაცდელი უახლოვდებოდა.

გავიდა ხანი.

ერთხელ კალიები ღამით შეიკრიბენ და უკანასკნელათ კანის გამოცვლის აპირობდენ. ჩვეულებრივზე მეტი ხმაურობა იყო ბანაკში ამ ღამეს. მწერი ბლომათ შეჯგუფდა და ფუსფუსობდა. საოცარი იყო, რომ არც ერთი მათგანი საჭმელს არ თხოულობდა. ყველა რაღაც საკვირველ მოვლენას მოუთმენლათ ელოდა. გრძნობდენ, რომ უცნაური ამბავი უნდა დატრიალებულიყო მათ თავზე და მის შესახევდრათ ემზადებოდენ. დიღრონი შავი თვალებით ხშირათ გადახედავდენ ხოლმე ერთმანეთს და ჩურჩულობდენ.

— ამაღამ მოხდება ეს ამბავი? იკითხა ერთმა.

— ამაღამ... ამაღამ... ამაღამ... — აზუზუნდა ურიცხვი, თვალუწვდენელი კალიები.

ერთი კიდიდან მეორემდი ყველა ერთსულოვნობით და საღლესასწაულო მოუთმენლობით ელოდა არა ჩვეულებრივ მომავალს.

უცებ... თითქო ვისმე ებრძანებიოს, მწერები ერთბაშათ გასკდენ.

მაგრამ გასკდომის შედეგი ახლა სულ სხვა გვარი იყო, ვინემ წინა ხანებში. ამ უკანასკნელათ ძველი კანიდან კარგა მოზრდილი, ფრთხებითა და კიანურით შემცული კალიები გამოხტენ. ყოველ მათგანს ოთხ-ოთხი ლამაზი, მეტათ ფაქიზი ფრთა გამოჰყა, რომელსაც აფართხუნებდენ და ისწორებდენ.

მათი სიხარული კალმით ვერ აიწერება ბზუოდენ, ზუოდენ, კიანურს აეღერებდენ, ფრთხებს ატკაცუნებდენ და დაუღალავათ ყბედობდენ.

გარისულება. მხეც ამობრწყინდა.

— მშია, მშია, მშია! — წამოიძახა ერთმა.

— გვშია, გვშია, გვშია! — მიბანეს ამხანაგებმა.



ირგვლივ საზრდო გამოლეულიყო. საუბედუროთ კუჭი ყველას გამოკარიღებული ჰქონდა, კაი ხანია რაც არაფერი ეჭამათ, მაგრამ ეს ნაკლებათ აღონებდა ღორმულელა კალიგბს. ახლა ისინი უკვე ფრთოსნები იყვენ და ფრენაც საუცხოვოთ იცოდენ.

შეისწორეს ფრთები. სამგზავროთ მოეწყვენ. ჰაერი შეისუნთქეს და პატარა ბუშტების მზგავსათ გაიბერენ. ერთმა კალიაშ ჭიანური მომართა. იმას სხვებმაც წაბაძა და მოკლე ხანში მილიონი ჭიანური აღიღონდა.

და როცა გუნდი ცის კამარას განერთხო, გადასცლებილ მინდვრის თავზე სიმღერა გაისმა:

„ჩვენ კალიას ყანებში

ვინ დაუხვდება წინაო!

კალია სულ მაღლა-მაღლა მიფრინავდა. ჯერ არავის ენა-ხა ასე შეიდროთ გაჭედილი კალიის ხროვა, რომელიც მამა-ცურათ ჰაერს აპობდა.

ხროვა სქელ ღრუბლებათ მზეს გადაეფარა და მიწაზე ბნელი წყვდიადი გამეფდა.

ზანგები შიშითა და ძრწოლით პირქვე დაემხვენ. საბრა-ლონი ფიქრობდენ, რომ მზე ჩაქრა და ქვეყნის აღსასრულის დღე დადგაო.

კალია შეუპოვრათ მისრიალობდა ცის სივრცეში. არე-მარეს განადგურებას უქადოდა.

ვინ რა იცოდა ბოროტი კალიის განზრახვა'..

### III

მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს. და რომ გუნდი ჩრდილოეთისაკენ მიიმალა, მზემ ხელიახლა გადმოაშუქა ცხოველმყოფელი სხივები.

აოხრებული მიწიდან ახალმა, ნორჩმა ბალახშა თავი ამო-ჰყო.

აფრიკის ჩრდილოეთით, ხმელთა შეა ზღვის ნაპირას, ერთი საუცხოოთ მორთული ქვეყანაა გაშენებული.

მოკრიალებული, ფირუზის ფერი ცა აქ ამწვანებულ კორდებს გუმბათათ ადგას. ხშირი უუჯუნა წვიმა სიცოცხლის ნექტარს ასმევს მცენარეულობას და ამიტომ მინდვრებში კა-

ცის ტოლი ბალახი დელავს, ხოლო აფერადებულ გორაჭემშე გორაჭემშე ულვაშ გადავრეხილი ვაზი მტევნების სიმძიმით იზნიქება.

ამ სამოთხისებურ მხარეში სუსხიანი და დაღვრემილი ზამთარი არ იცის. მხოლოდ მოკლე ხნით ხეებს ფოთლები გაცვივათ, თითქო ისვენებენო, და ისვე მალე ამწვანდებიან. არც პაპანაქება მზე აწუხებს ამ ქვეყანას, დედამიწას ალმური. არ ასდის, ბალახს მზის სხივები არა სწვავს, რუები და ნაკა-დულები არ შრება და პირუტყვნი წყურვილით არ იხოცე-ბიან. ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით მიწიდან ამომსკდარ წყა-როებს, რომელნიც უდარდელათ გირაკრაკობენ

დიად მზეს აროსელა-ჩასვლით მჭვრეტელი აღტაცებაში მოჰყავს.

გარეული, მტაცებელი მხეცები კაი ხანია რაც იქედან გადაშენდა. ტყეებში შელის ნუკრები და კოხტა ირმები ხტიან და ფრინველები მედიდურათ დანავარდობენ.

ფუტკრები და ჭრელი პეპლები სურნელოვან ყვავილებს თავს დასტრიალებენ და ხალისობდენ.

ამ ნეტარ ქვეყანაში შავეანიანი ხალხი სცხოვრობს — თავისი ბედით კმაყოფილი და ერთი მეორის მოყვარული.

აქაურ ერთს სოფელში მხიარული ქორწილი იყო გა-მართული.

ხალხი ურიცხვი შეკრებილიყო იმ სახლის წინ, საიდანაც შექარხოშებული მაყრების ჰარალალე მოისმოდა.

ყველა ხარობდა, ყველა დავლურს უვლიდა. სალამოთი კიდევ უფრო წახალისდენ: სულ მალე ცეკვა უნდა დაწყებუ-ლიყო.

დედები მკერდში ჩახუტებულ ყმებს მოარბენ უებდენ, ახალ-გაზდები კი ღობებს მარდათ ახტებოდენ და მაყურებელთა წრე ში გასაოცარი სისწრაფით ერეოდენ.

მემუსიკებმა საკრავი იარაღები მომართეს, თუმცა დაკვ-რას აყონებდენ, რაღან ერთი მოხუცი, ყველაზე ხნიერი იმ სოფელში, ახლათ ნაქორწინებ მეფე-დედოფალს სიტყვას ეუბნებოდა.

— დიახ, თქვენ აქ უკეთესათ იქნებით მოწყობილი, ვი-ნემ სხვაგან, საღაც უნდა იყოს, — დაამთავრა მოხუცმა სიტყვა. თუ კეთილი და პატიოსანი იქნებით, მოწყალე ლმერთი თქვე-



նո մտարվելու օյնեბա մշշամ յամս. մոթա պայլացյուր սպատ մոցընտ, ամ հիզեն յարութեցուլ մըցպանանու արագուածու սաղրութեց առ մոցըլուտ. ծեզնուրու ուսացու մհացալ յամուր!

մոտեցմա մեցու-դեղարուալս եցլու համուարտցա დա ხմամալլա, ածալլանիրացուլու ալդրուոցնեցու նեսմանա: Մըցածերուտ!

— Մըցածերուտ, Մըցածերուտ, Մըցածերուտ! — ճասկուցու մայուրյածլուցմա.

մայուրյածմա և մուլցրա ճացոցունցես. մըմշսույտ և ամշրի եմուտ մոցընտեն.

Շուրբ... և մուլուալ մուլուալնելատ զուլապամ և ամերյուտուսայեն եցլու ցանցուրա დա պանյալուցուլու եմուտ նամունանա:

— Ճաերտ! Ճաերտ... հոցարու նացու նուլու ցուածլուց ճյեծա. և ալճատ, պայտա, պայտա, պայտա!..

— Մըցուլու, ամ գրուս հիզենի քեյ-կյենուլու արաւուցս առ պոտուլա. — Ետքա մոտեցմա. — օցըր ասո վլուս կապու մոցույարց ճա ամ յարս, գլուս հռ ճածերա, նցումա առ մոշուլուա.

— Բա՛՛, հաս նունցաց յս նուլու? — յուտելունածլուն.

Մըցելա ոմ մեսարուսայեն ուրյուրյածուա, սաունապ նացու նուլու մունուուա. առպ յրտ մատցանս առ Մըցելու այեսնա, հուսու մոմաշայցեցելու ուսու նուլու.

Նուլու մալուան ճուզու ուսու დա յուպունածուա հիզելուցերուց-չյ ուրժու և յելու ոնճա պոտուլուսու. ու տանճատան ակլուց-ծուա, տալնի նեսամինցատ ունիրյածուա.

Մըցե ճածնելուն...

— յս հա ամեցայա? ցանսմունա սալքնի.

Եալեն մոտեցազու. პաւարույնմա պայունուլու մորտցս; դեգա-կապրէն նալուլուանատ ճա մամայալույն ճոնչատ ցամուսպուրյածուցն.

Օնառու յեցբիցուա և նույ մայուրյան, սցուա ճա յամյուռա. մասու ըսուլունածլուն մըմշսույցն մատ ցարուուաս. ունույու մըցելա ցա նեմնա. յրտմանցու յուրյուրյած ճա մոմացալ նուլու ցա նուն յուրյուրյած ճուզուն. արացու ուրյուրյած, հուսու ճամուացրյածուա յս սանոնցընա.

Սաճլցասիւլու մեսարուլույն ալար և յուցըզու.

յըրչուն յըրյուրյած, սանուլուն հաս ուրժուուա. նոնացընուն կո մըցելա յութելուրյած յույնա.

նուլու սուլ մատուլունածլու, ունիրյածուա ճա մուս յուցըզու.

მზე დაბნელდა ...

დედამიწა ბნელმა წყვდიაღმა შთანთქა. ტყეში ფრთისნები და ცხოველები ჩაჩუმდენ. შიშისაგან აფორიაქებული ხალხი ერთმანეთს მაგრა ეხურებოდა...

— სსსუუ! — წარმოსთქვა მოხუცმა. — ყური დაუგდეთ:

ჩენ კალიებსო ტყეებში

ვინ დაუხვდება წინაო,

ზღვაცა ვერასა გვაკლებსო

მინდორ-ველს მკედრებით მოვფენთო.

მლეროდა კალიის გაუმაძღარი ჯარი.

არავის ესმოდა კალიის ენა. ხალხს მხოლოდ ბზუილი და აუარებელი ფრთების თქრიალი მოესმა.

— დედა! ნისლიდან წი, რაღაც ჩამოვარდა! — დაიყვირა პატარა ბიჭმა და ჩამოვარდნილ კალიის ხელი სტაცა.

ყველა მიცვივდა, არ იცოდენ რა ჩამოვარდა. მალე რამდენიმე კალია მიწაზე დაეხეთქა. თვალის დახამხამებაში კალიის უშველებელი გროვა ბზუილით ძირს დაეშვა...

ხალხმა თავში ხელი იტაცა და მქბენარა მწერს დიდი ვაივაგლახით იშორებდა. ქალები და ბავშები უნუგეშოთ ქვითინობდენ. მამაკაცები გარშემო ხელებს იქნევდენ და ფეხებზე ჩაყრილ მწერს ნებითა\*) და ჯოხით სრესდენ.

მწერი უფრო და უფრო ცვივოდა. თითქო დედამიწას დაუსრულებელი კოკის-პირული წვიმა მოვლენიაო.

შოუსვენარ ფუსფუსში ხალხი ყვირილით და ხელუების ქნევით დაიფანტა. არ იცოდენ რა გზა აერჩიათ. ყველამ სახლებს მიაშურა. მაგრამ სადაც-კი თავი შეაფარეს, ყველგან კალია უახვდათ.

კალია ჭებში ცეივოდა; მილებსა და ფანჯრებში შეძროვ მით სახლებში იპარებოდა. ნემსს ვერ ჩამოაგდებდით, რომ მისი ყურწი კალიას არ დასვებოდა. თავისუფალი იდგილი არსაღ იყო.

კალიის დაუცხრომელი წვიმა ორ საათს გაგძელდა.

ბოლოს კამ კვლავ მოიწმინდა და მზეც გამობრწყინდა.

აღმოჩნდა, რომ კალია ხის ტოტებსაც ჩამოკარწიალებო-

\* 1 ნები — ფეხის ან ხელის გული. აქ ფეხის გული ნიშნავს.



და, რის გამო ხეები მწერის სიმძიმით იზნიქებოდა და ტყედა-  
ბოდა. დიდი უშრავლესობა ისევ ცოცავდა და ახტებოდა ბა-  
ლახს, ქათმებს, ძალლებს, კამბეჩებს...

ყოველგვარი ბალახის ყლორტს დაუზოგველათ ინადგუ-  
რებდენ.

ხალხი გაუგებრობამ შეიპყრო. მცხოვრები მაღლობებზე  
ავიდენ და იქიდან თავის ყანებს ათვალიერებდენ. სიმწრის  
ოფლით დათესილი ყანები კალით გავსილიყო.

ხალხმა ცას ახედა და ახალი ნისლი შენიშნა, რომელიც  
პირველს ჰგავდა.

და სანამ ისინი, შიშისაგან დამუნჯებულნი, დაუნდობელ  
ნისლს შესცეკროდენ, ნისლი სულ იზრდებოდა და ახლოვდე-  
ბოდა.

ერთს წუთს კალის ახალი ჯარები ხალხს თავს დაესხა...  
ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა.

ბრაზმორეული ვაუკაცები გამოცვივდენ სახლებიდან, და-  
ლეწეს ხის ტოტები და მწერის ხოცვა-ულეტვას შეუდვენ.  
იბრძოდენ, სანამ ძალა შესწევდათ.

ამგვარი ცემა-ტყეპით მილიონი კალია განადგურდა. მაგ-  
რამ აუარებელი რიცხვი ჯერ კიდევ ცოცავდენ, ხტოდენ,  
ფრენდენ, ყველაფერს სანსლავდენ.

იმ ჭალას, სადაც კალია დასახლდა, ცეცხლი წაუკიდეს.

იტკრციალა ცეცხლმა, აბურთავდა კვამლი და მწვანე  
ბალახი, შეყვითლებული პურის თავთავი - ალში გაეხვია.

ამანაც არ უშველა!

კალის ხროვა იქ დაბინავდა, სადაც ცეცხლი არ მძეინ-  
ვარებდა. გზახე-კი ყველაფერი გაატიალეს.

კალის ლხინი რეა დღეს გაგძელდა. როცა მინდორ-ველი  
უწყლო-უბალახო უდაბნოს დაამზგავსეს და გული იყარეს, აი-  
შალენ და საშიში, თავზარდამცემი ნისლი სხვა მხარეს ეწვია.

ხალხი კანკალით ადევნებდა თვალს კალის გაფრენას.

მეფე-დედოფალი წყალწალებულ ოჯახს შეუშრობელი  
ცრემლით დაქვითინებდენ.

მემუსიკებმა თავის ქნევით და წუხილით ჭიანურები კე-  
დელზე ჩამოკიდეს.

აყვავილებული და ლვისაგან ნაკურთხი მხარე სულს  
ლაფავდა.

მოხუცი ჯავრს გადაყვა.

#### IV

კუდმაგრატელა მერცხალმა ბარტყები უკვე გამოჩეკა.  
დედის ზრუნვა არ დაკლებია პაწია მერცხლებს. მალე ბუმბულ  
ფრთხებით შეიმოსენ და ჰაერშიაც შეინავარდეს.

მერცხალმა უკანასკნელი ჭიაც შეყლაპა და საზრდო შე-  
მოელია.

აქ ზაფხულს სული ეპარებოდა და შემოდგომის გრილმა  
სიომ დაბეჭრა.

კუდმაგრატელას ახლა აფრიკისაკენ ეჭირა თვალი, სადაც  
პეპლები და ჭია-ლუები ბლომათ ეგულებოდა.

მგზავრობაში მერცხალი კარგათ გამოიცადა. გზები საუ-  
ცხოვთ შეისწავლა და არასოდეს არ აებნევოდა. თითქმის  
ისიც-კი იცოდა, სად უნდა შეესვენებია ორიოდე დღით თავი-  
სი მოღალული ფრთხები.

მოკიკეიკეს ხმელთაშუა ზღვაზე უნდა გადაევლო. ამ  
ზღვაზე ერთი კუნძული მდებარეობს, რომლის სილამაზე სულ-  
სა და გულს ხიბლავს.

უოველთვის, როცა მერცხალი ჩრდილოეთიდან აფრიკაში  
დაბრუნდებოდა, ამ კუნძულზე შეუხვევდა დასასვენებლათ.  
თუმცა კუნძული ძალიან პატარაა, მაგრამ მერცხლისთანა პა-  
წია ფრთოსანებს ჩინებულათ უმასპინძლდებოდა.

პაწაწკინტელი მწვანე ჭივჭავი აი აქ ცხოვრობდა. ჩვენი  
მერცხალი კაი ხანია რაც ჭივჭავს დაუმევობრდა.

ახლაც ამ კუნძულს ეწვია კუდმაგრატელა მერცხალი და  
იმ ხეზე ისკუპა, რომელზედაც ჭივჭავს ბუდე ჰქონდა მიშენე-  
ბული.

მაგრამ ჰოი, საკეირველებავ! მოტიკტიკე მგზავრს ენა  
დაება, როცა გარემოს თვალი მიმოავლო.

განცვიფრებული სტუმარი ხმაგაკედილი დასცემეროდა  
კუნძულს.

ტყეში ფრთოსანთა სტენა შემწყდარიყო, რომელიც  
მთელი დღის განმავლობაში მსმენელს განუწყვეტლივ ატკ-  
ბობდა.



ველ-მინდორზე ცხოველების ჭაჭანებაც-კი არ იყო.

ნეტავ ხალხი სადღა გაქრა!

ცალიერი სახლები, კარ-ფანჯრებ განიერათ დაფულილი,  
სევდას გაგრძნობინებდა. ნახნავ-ნათესის კვალიც კი არ სჩანდა.  
ბალახი ერთიანათ განადგურებულიყო. ლერწმის გამშმარი  
ტოტები ჰაერში სასაცილოთ გაშვერილიყო.

შერცხალმა კიდეც გაიფიქრა, იღმათ გზა დამებნა და  
ჩემს სანეტარო კუნძულზე ჯერ არ მიესულვარო.

ის-ის იყო ფრთხებიც გაშელა აოხრებული კუნძულის მი-  
სატოვებლათ, რომ უცებ მისი კეთილი მეგობარი ჭივჭავი მო-  
ფრინდა და იმას ახლო მოუსკუპდა.

ჭივჭავი ჩამოშმარიყო, ფრთხები აჩეჩოდა, რომ შეგეხედა  
შეგეცოდებოდა.

— სთქვი, თუ ღმერთი გწაშს,— შესძახა გაოცებულმა  
შერცხალმა — რას ნიშავს ყველა ეს?

— ვიცოდი, პირველათ ამას იკითხავდი. — უპასუხა ნალ-  
ვლიანი ხმით ჭივჭავმა — ამ კუნძულზე მხოლოდ მე დაერჩი  
ცოცხალი და მეც მალე ბოლო მომელება. არ მგონა, შენ-  
თან ერთად სამხრეთისაკენ გაფრენა მოვახერხო... ამ სიტყვებ-  
ზე ჭივჭავმა ცრემლები გადმოაფრქვია.

— მერე და რა მოხდა ასეთი!

— კალია შემოგვესია! — მიუგო ჭივჭავმა — კალია შემოგვე-  
სია და მთელი ეს კუნძული ააოხრა.

— კარგათ არ მესმის. გაუგებრობამ შემიპყრო. — სთქვა  
შერცხალმა და საგონებელს მიეცა.

— ერთხელ, შორეულ აფრიკაში დედა-კალიას შევეყარე  
და მასთან დიდხანს ვმუსაიფობდი. — დაიწყო მერცხალმა. — ის  
ჭიანურზე საამურათ უკრავდა. ბალახს ბეჭრს სკამდა. ხალხს-კი  
არ ერჩოდა... ჰო, ჰო. მოიცა... მომავონდა... ახლა კი მივ-  
ხვდი. კალიის შვილები თქვენსკენ უნდა წამოსულიყვნენ. დედა-  
კალია მარწმუნებდა, თითქო მისი შვილები დედამიწას მილიო-  
ნობით დაესეოდენ. მე არ მჯეროდა.

— ახლა ხომ გჯერა. შემოგვესიენ კიდეც. უთვალიავი  
თავს დაგვესხენ როგორც ზავი ნისლი და ყველაფერი გავე-  
რანეს, გაატიალეს.

— მესმის რო მარტო ბალახი შეეჭამათ და მცნარეუ-

ლობა მოესპოთ.—სთქვა კუდმაგრატელამ მხრების აწევით. მაგრამ სადღა არიან ძროხები, ცხენები, კაშეჩები! საღაა ხალ-ხი! ამათ ხო ვერ შეჰყულაპავდენ!

— პირდაპირ კი არ შეუყულაპავთ, მაგრამ... ეჭ, სჯობს ყოველივე დალაგებით გიამბო.

და ჭივჭავი შეუდგა გულშემზარავი ამბის თხრობას.

მერცხალს შიშის ურუანტელმა დაუარა. კარგათ გაახსენ-და, როგორ გამოკითხა მას დედა-კალიამ ამ ქვეყნების შესახებ, როგორ უამბო ამანაც იქ ბალახი ბლომათააო და როგორ უანდერძა დედამ შეილებს აქეთ მხარეს გამომგზავრება...

შეწუხდა მერცხალი.

მისმა რჩევამ კუნძული იმსხვერპლა.

— ღვთის გულისათვის მითხარი,— შესძახა აღელვებულმა მერცხალმა,— საით გასწია კალიამ?

— ჯანდაბას! — მიუგო ჭივჭავმა — დიღი უმრავლესობა დაიხოცა. ცოცხლათ თითქმის არც ერთი არ დარჩენილა.

— განაგრძე, — სთხოვა მერცხალმა.

და ჭივჭავმა განაგრძო, როგორ შეესია კალიის შავი ნი-სლი სიდიდით კუნძულს აღემატებოდა. უთვალავი მილიონი კალიისა ზღვაში ჩაიხრიო, მაგრამ ურიცხემა ჯარებმა ერთ წუ-თას აუგეს წესი საბრალო კუნძულს. ყველაფერი უკანასკნელ ყლორტამდი მოსცეს, შესანსლეს.

— მერე? — იკითხა მერცხალმა.

— იმავე დღეს, საღამოთი, საშინელი ქარიშხალი ამო-ვარდა — განაგრძო ჭივჭავმა. — ამგვარი ქარიშხალის მომსწრე არა ვარ. სახლის სახურავებს გლეჯდა, ტყეში ხეებს ლეწავდა და ზღვაზე ვეებერთელა ტალღებს აგორებდა, რომლებიც მთის კენჭეროებს ეხეთქებოდენ. ით, ამ ქარიშხალმა იმსხვერპლა კალიის მრავალრიცხოვანი ჯარი და მათი მძორით ზღვა მო-ფინა. ყოველი ტალღა კალიის ლეშის ახალ ახალ გროვას მოაცურებდა და ზღვის კიდეზე ყრიდა. დამთავრდა იმით, რომ კალიის გვამის ყორეთი ეს კუნძული გარშემოირტყა. რომე-ლი მხრიდან არ უნდა ექროლა ქარს, მაინც აზეირთებული ზღვიდან კალიის მძორი მოჰქონდა და ამ ჩვენს კუნძულზე რიყავდა. შემდეგ... გავრცელდა შავი ჭირი...



— ოჲ—ამოიოხრა მერცხალმა.—განაგრძე, განაგრძე,  
გეოაყვა! ეს რა მესმის!

— მგონი ყველაფერი გითხარი.—სოქვა ჭივჭავმა.—ქა-  
რიშხალს მოჰყვა სრული სიწყიარე. ასიცხდა, ისეთი პაპანაქება  
სიცხე დადგა, რომლის მგზავი არავის უნახავს. ცისმარე დღე  
მზე აცხუნებდა. ფოთლებისაგან გაფცევნილი ხის ტოტები  
საწყლათ გამოიყურებოდა. წყალი დაშრა. ხალხი ყრუთ კვნე-  
სოდა.

— მერე?

— მერე და მერე! შეამიანი ორთქლისა და დამპლის  
ლრუბელში ჩვენი კუნძულიც გაეხვია. დასნეულდა ხალხი.  
დახოცილი ბუზები ძირს ცვივოდენ. ფრინველები საცოდავი.  
წრიპინით სულთმობრძავი ვარდებოდენ. ცხენები და ძროხები  
უშმოთ სულს დაფავდენ. ხალხი ტანჯვა-წვალებაში წუთი-სო-  
ფელს ეთხოვებოდა. გადამდებმა სენმა ყოველი ხორციელი  
არსება მოსპო და მხოლოდ მე დამტავა. მაგრამ მე ვვრძნობ,  
საღამომდი ვერ, გავაწევ...

— ოხ, რა საზარელი ამბავია!—ოხრავდა მერცხალი.—  
ერთად ერთი სანუგეშო ის-ლაა, რომ კალიაც დალუბულა.  
ეს ბოროტება იქიდან წარმოიშვა, რომ კალია ძალიან გრძ-  
ლათ აღებს პირს და რასაც სქამს—უკანვე აფურთხებს. ისე  
რო სქამდენ, როგორც წესი და რიგია, საზრდო ჩვენც გვე-  
ყოფილდა და იმათაც. მერე კალია რა კარგათ უკრავდა ჭია-  
ნურზე! საკვირველია რომ ის ასეთი ბოროტი ყოფილა.

ცოტა ხნით თაეჩაქინდრული ჭიიქრობდა კუდმაკრატელა  
მერცხალი. შემდეგ ფრთა ფრთას შემოჰკრა და ჭივჭავს მი-  
მართა:

— ეჲ! ჩემო კარგო, რას იზამ! მე უნდა გავფრინდე.  
გსურს ჩვეთან მგზავრობა?

კითხვას ბასუხი არ მოჰყვა. ქიდები ტოტიდან ჩამოვარდა  
და სული განუტევა.

მერცხალმა მეგობრის გატემულ გვამს ობოლი ცრემლი  
დააპკურა.

ეს ცრემლი სინანული. ცრემლი იყო.

დაობლებული მერცხალი ცალათ გაფრინდა.

(ავთგმანი)

დაგით დონდუა.